

882.01

ე 86

მსჯილე



მიჯანჭეულის პნთმეთე



სახელგამი  თქილისი

882.01

ე 86

სტუმრობს ლიბრარის კლასიკოსები

282.24

2-86

ესქილა

მიჩაჭვული
პრომეთე

თარგმანი ზაქარეიდან
ა. ქუთათაძის
მიერ



181523

300000005666

საბჭოთა

თბილისი

1948

შ მ ს ა ვ ა ლ ი

I

გამოჩენილმა ბერძენმა ტრაგიკოსმა ესქილემ (525—456) პრომეთეს სახით გამოიყვანა კაცობრიობის კულტურის მესვეური. პრომეთემ ადამიანი ველური მდგომარეობიდან განათავისუფლა და კულტურულ ცხოვრებას აზიარა, ასწავლა მას ცეცხლის საშუალებით ყოველგვარი ხელობა და ტექნიკა, ხოლო თავისი პირადი მოღვაწეობითა და თავგადასავლით უჩვენა მაგალითი შეუდრეკელი მოქმედებისა, თავისუფალი აზრისა და ქედმოუხრელი პრინციპიალურობისა.

ის მითი, რომელიც ესქილემ საფუძვლად დაუდო თავის ტრაგედიას „მიჯაჭვული პრომეთე“, გადმოგვცემდა, რომ პრომეთემ ზევსს მოჰპარა ცეცხლი და ჩამოუტანა ადამიანებს (ასწავლა მათ ცეცხლის მოხმარება), ხოლო ზევსი გაურისხდა პრომეთეს და მიაჯაჭვებინა იგი კლდეზე: ზევსის მიერ მიჩენილი არწივი უკორტნიდა პრომეთეს ღვიძლს; შემდეგ ქვეყნიერებას მოევლინა ჰერეკლე, რომელმაც მოჰკლა ეს არწივი და, ამგვარად, პრომეთე განათავისუფლა.

მოქმედება ესქილეს ტრაგედიისა წარმოებს სკვითიაში, კავკასიის მთაზე. ტრაგედია იწყება პროლოგით („შესავალით“), რომელშიც საუბრობს ორი პირი: „ძალა-ძალადობა“ (წარმომადგენელი ზევსისა) და მკედლობის ღმერთი ჰეფესტი. „ძალას“ წამოუყვანია კლდეზე ზევსის მიერ მსჯავრდებული პრომეთე, რათა იგი ჰეფესტოს მიაჯაჭვებინოს. ჰეფესტო აგვიანებს პრომეთეს მიჯაჭვას, მას იგი ებრალება, როგორც მახლობელი; თანაც თვლის, რომ პრომეთეს არ დაუმსახურებია ეს სასჯელი (იგი ისჯება კაცთმოყვარეობისათვის).

ჰეფესტომ კარგად იცის, რომ პრომეთეც ღმერთია და ზევსიც ღმერთია; რომ პრომეთე ადამიანებზე ზრუნავდა და ზევსი ამის წინააღმდეგი იყო; რომ ზევსი დიდ სისასტიკეს იჩენს, როგორც ეს სჩვევიათ ახალ მბრძანებელთ:

„სასტიკი არის მბრძანებელი ახალი მუდამ“

ამბობს ჰეფესტო. როგორც ვხედავთ ჰეფესტო პრომეთეს მომხრე ღვთაებაა; მაგრამ მას, სამწუხაროდ, შველა არ შეუძლია. „ძალა“ მოაგონებს ჰეფესტოს, რომ ზევსის ბრძანება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს შესრულებული. ჰეფესტო იძულებულია ზევსის ბრძანება სისრულეში მოიყვანოს და მიაკრავს პრომეთეს კლდეზე ჯაჭვებითა და ლურსმნებით. „ძალა“ და ჰეფესტო წავლენ.

მარტოდ დარჩენილი, კლდეზე მიჯაჭვული პრომეთე მძიმე ტკივილისაგან მწარედ კვნესის და თავის უბედურებას შესჩივის ცას, დედა-მიწას, ყოვლისმხედველ მზეს.

„ამ ბორკილებით ეს შერცხვენა ჩემი ისურვა

ნეტარ ღმერთების მბრძანებელმა, ახლად შობილმა“

ამბობს იგი.

ჯაჭვების ქლარუნზე, უროს ცემაზე და პრომეთეს კვნესაზე მოფრინდება გუნდი ოკეანიდებისა, პრომეთეს ბიძაშვილებისა.

პრომეთე უამბობს ოკეანიდებს, თუ რატომ დასაჯა იგი ზევსმა. ბრძოლა იყო ძველ ტიტანებსა და ზევსს შორის; ტიტანები ახდილად იბრძოდნენ, ლიქნა და ცბიერება არ სწამდათ მათ; პრომეთე კი თავისი დედის (თემიდა-გაიას) რჩევით მოუწოდებდა ტიტანებს ცბიერების გეზს დასდგომოდნენ, მაგრამ ვერაფერს გახდა. მაშინ პრომეთე თვითონ დაადგა ამ გზას: ზევსის მხარე დაიჭირა, მასთან კავშირი შეკრა. ზევსმა დაამარცხა, პრომეთეს დახმარებით, ტიტანები, ხოლო გამარჯვების შემდეგ დიდი სისასტიკე გამოიჩინა: მან თავისიანები დაასაჩუქრა, სხვადასხვა პატივი უბოძა, ხოლო საბრალო ადამიანებს გადაემტერა.

„კაცი ბედშავნი დაივიწყა და კიდევ მეტიც:

ახლა აღმოუხვრა განიზრახა მოკვდავთ მოდგმისა,

რომ მის ადგილას დაენერგა სულ სხვა, ახალი“.

პრომეთეს უბედურების ამბავი გაუგია მის ბიძას, ოკეანეს და იგი ფასკუნჯით მოფრინდება პრომეთესთან და ურჩევს დაემორჩილოს ზევსს. მაგრამ პრომეთე შეუდრეკელია: იგი

მზად არის აიტანოს ტანჯვა-წვალება, ზევსის წინაშე კი ქედს არ მოიხრის; ოკეანეს კი ურჩევს—უკან გაფრინდეს და თვითონაც თავს არ დაიტეხოს ზევსის რისხვა. ოკეანეც მიდის.

შემდეგ, პრომეთე თავის მონოლოგში ლაპარაკობს თავის ღვაწლზე ადამიანის წინაშე: ადამიანი უმეცარი იყო და პრომეთემ ჩაუდგა მას აზრი; ასწავლა სახლების აგება, აზრიანი შრომა, მადანის მოპოება და დამუშავება; ერთი სიტყვით, პრომეთემ გამოიყვანა ადამიანი პირველყოფილი მდგომარეობიდან:

„აქვს ხელოვნება ყოველგვარი ხალხს პრომეთესგან“.

აი, ასეთი კაცთმოყვარეობისათვის იგი დაისაჯა ზევსისაგან. მიუხედავად იმისა, რომ პრომეთე უზომოდ იტანჯება, ის მაინც იმედიანად შეჰყურებს მომავალს; ბორკილებისაგან მაინც განვთავისუფლდები—ამბობს პრომეთე, — ზევსი იძულებული იქნება დაუთმოს აუცილებლობას; თუ როგორ მოხდება ეს, ჩემს საიდუმლოებას შეადგენსო.

შემდეგ პრომეთესთან მოიბრუნს ინაქეს ასული იო, რომელსაც სდევნის ჰერა (ზევსის მეუღლე; იო ოდესღაც ზევსის სატრო იყო). იოსთან საუბარში პრომეთე ამბობს: ჩემს წვალებას არ აქვს საზღვარი, სანამ ზევსის ტირანია არ დაემხოება. გახარებული იოს შეკითხვაზე პრომეთე მოკლედ უპასუხებს: ზევსი დაიღუპება, მას ეყოლება შვილი, მამაზე უფრო ძლიერი, ის დაამხობს ზევსის ტახტს; თუ როგორ შეუძლია ზევსს გადარჩეს, ეს ჩემს საიდუმლოებას შეადგენსო—ამბობს პრომეთე.

ტრაგედიის უკანასკნელ ნაწილში (ექსოდოსში) პრომეთე კვლავ უბრუნდება ამ საიდუმლოების საკითხს და გაკვირვით ამბობს: ფუჰია ზევსის სიამაყე და თავგასულობა; ის ერთ ქალთან შეუღლებას აპირებს, რაც მას ტახტს დააკარგვინებს; ღმერთთაგან ვერავინ ასწავლის, თუ როგორ შეუძლია გადაურჩეს უბედურობას. მხოლოდ მე ვიცი, თუ მას რა იხსნისო.

ამ სიტყვების თქმისთანავე სცენაზე გაჩნდება ჰერმესი (ღმერთი—შეკრიკი) და გადმოსცემს პრომეთეს ზევსის ბრძანებას: სთქვი რა საიდუმლოება იცი ქორწინების შესახებ, თუ არ გინდა კიდევ მეტი უბედურობა დაგატყდეს თავზეო. მაგრამ

პრომეთეს არ აშინებს მოსალოდნელი ტანჯვა-წვალება: იგი უარით ისტუმრებს ჰერესს და თან დასძენს:

„მე არ გავცვლიდი ჩემს წამებას შენს მონობაზე.
უმჯობესია მონა ვიყო, მაშ, ამ კლდის, ვიდრე
მაცნე, ერთგული ანგელოსი მამა ზევსისა“.

პრომეთეზე არ მოქმედებს მუქარაც: თუ ზევსს არ დაემორჩი-
ლები, ეუბნება ჰერმესი, ის ელვით და მეხით ამ კლდეს გაა-
პობს და შიგ ჩაგაგდებსო... მიუხედავად მუქარისა, პრომე-
თე მაინც არ სთმობს. ჰერმესი გადის. ისმის ქექა-ქუხილის
ხმა, კლდე სკდება და თან ჩაიტანს პრომეთეს.¹

აი, ასეთია ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთეს“ შინაარსი.

II

პრომეთეს პრობლემის გადაჭრისთვის მრავალი სხვადასხვა-
ნაირი ჰიპოთეზაა წამოყენებული. ერთ რამეში კი ყველანი
თანახმანი არიან: პრომეთე წარმოადგენს ადამიანის გონების
სიძლიერის სიმბოლოს, სიმბოლოს კულტურისას, თავისუფ-
ლებისათვის ბრძოლისას.

მაგრამ მკითხველის წინაშე აუცილებლად დგება საკითხი
ზევსისა და პრომეთეს ურთიერთობის ხასიათის შესახებ. ეს-
ქილეს „მიჯაჭვული პრომეთეს“ მიხედვით ზევსი და პრომე-

¹ ესქილეს ტრილოგია პრომეთეს თემაზე შედგებოდა ტრაგედიებისაგან: „მიჯაჭვული პრომეთე“, „განთავისუფლებული პრომეთე“ და „ცეცხლოსანი პრომეთე“. მეორე ტრაგედიაში („განთავისუფლებული პრომეთე“) გადმო-
ცემული იყო პრომეთეს თავგადასავალი მიჯაჭვის შემდეგ განთავისუფლე-
ბამდე და თვით განთავისუფლებაც. ამ ტრაგედიაში ძმები (ტიტანები)
სთხოვდნენ პრომეთეს დამორჩილებოდა ზევსს და გაემეღაენებინა მის-
თვის საიდუმლოება, რაც პრომეთეს იხსნიდა ტანჯვისაგან, მაგრამ პრომე-
თე კვლავინდებურად შეუდრეკელი იყო. პრომეთეს შეუდრეკელობა ემყა-
რებოდა მის იმ რწმენას, რომ სიმართლე გაიმარჯვებდა და ბოროტება
დაითრგუნებოდა, რომ მას განათავისუფლებდა იოს შთამომავალი—ჰერაკლე.
მართლაც ჰერაკლემ იგი განათავისუფლა.

მესამე ტრაგედიაში („ცეცხლოსანი პრომეთე“) გადმოცემული იყო, რომ
რადგან პრომეთე უკვე განთავისუფლებულია ბოროტებისაგან, მოხდა შე-
რიგება ზევსსა და პრომეთეს შორის. პრომეთემ გაუმეღაენა ზევსს საიდუმ-
ლოება, რითაც გადაარჩინა იგი ტანტის დაკარგვას.

მეორე და მესამე ტრაგედიები მოღწეული არაა; მხოლოდ რამდენიმე
ნაწყვეტია გადარჩენილი.

თუ აუცილებლად ერთი-მეორესთან დაპირისპირებული ღვთა-
ებები ჩანან. ამ ორი ღვთაების ურთიერთ დაპირისპირება
სრულიად სამართლიანად ათქმევინებს მკვლევართ, რომ აქ
საქმე გვაქვს ორი სხვადასხვა კულტურის ბრძოლასთან ერთ-
მანეთში. მაგრამ თუ ეს ორი ღმერთი (ზევსი და პრომეთე)
ორი სხვადასხვა კულტურის განსახიერებას წარმოადგენენ
და ორივე ეს ღვთაება ბერძნულ სამყაროს ეკუთვნის, მაშინ უნდა
ვიფიქროთ, რომ ისინი ბერძნული კულტურის ორი საფეხუ-
რის ერთმანეთთან შეჯახებას აგვისახავენ: ერთი მათგანი
იქნება განსახიერება ბერძნული კულტურის დაბალი საფეხუ-
რისა, მეორე — მაღალი საფეხურისა. ესკილეს ტრაგედიის მი-
ხედვით კულტურის უფრო მაღალი საფეხურის წარმომადგენე-
ლია პრომეთე, უფრო დაბალისა — ზევსი. ამავე დროს ესკი-
ლეს ტრაგედიიდანაც და მითებიდანაც ჩანს, რომ ზევსი შე-
დარებით პრომეთესთან ახალგაზრდა ღმერთია, ახალი თაობის
ღმერთია. მაშასადამე, ისე გამოდის, რომ ბერძნულ კულტუ-
რას თავისი განვითარების გზაზე ჯერ ჰქონდა მაღალი საფე-
ხური (პრომეთე), მერე კი — დაბალი საფეხური (ზევსი), რაც,
რასაკვირველია, შეუძლებელია დავუშვათ.

ამიტომ პრომეთეს პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობა
ჩვენ გვესახება სულ სხვა ასპექტში, სახელდობრ: პრომეთე
არ არის ბერძნული ღვთაება, იგი იმ ხალხის ღმერთია, რო-
მელიც ბერძნების მოსვლამდე ცხოვრობდა და რომელიც მა-
ღალი კულტურის მატარებელი იყო; ხოლო ზევსი — წმინდა
ბერძნული ღვთაება; იგი იმ ბერძნების ღმერთია, რომელიც
კულტურის საკმაოდ დაბალ საფეხურზე იდგა, როდესაც მო-
ვიდა და დასახლდა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ეგეოსის
არქიპელაგში და მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროებზე;
ახალმოსული ბერძნული მოსახლეობა (დაბალი კულტურის
მატარებელი) ებრძოდა დიდი კულტურის მქონე ძველ მო-
სახლეობას.

ვინ იყო ეს ძველი მოსახლეობა, რომელიც ბერძნებს დახ-
ვდა მცირე აზიაში და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე? პირ-
ველ ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ეს იყო არა ინდოევროპუ-
ლი მოდგმის ხალხი. ეს იყო ხალხი, რომელიც სულ სხვა
ენას ლაპარაკობდა, ვიდრე ინდოევროპელი ბერძნები; ამას

ამტკიცებს თვით ბერძენთა ისტორიკოსი პეროდოტე („ისტორია“ I, 57), რომელიც ამ ძველი მოსახლეობის ენას „ბარბაროსულს“ (ე. ი. უცხოთ, არა ბერძნულს) ეძახის. ჩვენი მეცნიერების დღევანდელი მიღწევები გვაძლავს იმედი ვთქვათ, რომ ეს ძველი მოსახლეობა პერმინდელი საბერძნეთისა (ე. წ. წინაბერძნული მოსახლეობა) ენათესავება ქართველურ-კავკასიურ ტომებს. და პრომეთეს თქმულება, რომელიც ბერძნულში დარჩენილი უძველესი თქმულებათაგანია, მოუთხოვრებდა სწორედ ახლად მოსული ბერძნების ბრძოლაზე წინაბერძნულ მოსახლეობასთან¹.

დროთა ვითარებაში ამ თქმულებამ განიცადა ცვლილებები, მაგრამ მაინც ბოლომდე დარჩა მაღალი და დაბალი კულტურის დაპირისპირების ძირითადი ხაზები. ესქილეს დროს (VI-V) საუკუნეში), რასაკვირველია, აღიარების ახსოვდა ამ თქმულების წარმოშობა და პრომეთეც და ზევსიც ბერძენ ღმერთებად მიაჩნდათ, რადგან ახალმა ძველი დამოძღვრება და, ბოლოს და ბოლოს, პრომეთეც შეურიგდა ზევსს. ხოლო დაპირისპირება კულტურულობისა და ჩამორჩენილობისა, პროგრესისა და რეგრესისა მუდამ იგრძნობოდა ამ თქმულებაში.

ესქილემაც გამოიყენა პრომეთეზე და ზევსზე არსებული მითი, რომელიც მისი აზრით ბერძენთა თავგადასავალს გულისხმობდა, და თავისი ერის თავგადასავლის მაგალითზე უჩვენა მაყურებელს, თუ რა უპირატესობა აქვს პროგრესულობას, პრინციპიალურობასა და სიმედგრეს ჩამორჩენილობის, უპრინციპობისა და სილაჩრის წინაშე. ესქილე როგორც გენიალური მოაზროვნე უნდა დამდგარიყო თავისი წრის, მიწისმფლობელი არისტოკრატიის ინტერესებზე მაღლა და უნდა ექადაგა ის იდეები, რომლებიც მის ერს აღმავლობის გზით წაიყვანდა. პოეტი დაიდგა იმ გზას, რომელიც ბერძენ ხალხს საბოლოო გამარჯვებას მოუპოვებდა: ეს გზა იყო — გზა მოწინავე იდეების გამარჯვებისა, მაგრამ ისე, რომ ბრძოლაში მონაწილე ორივე მხარე (ჩვენს შემთხვევაში — პრომეთე და ზევსი) ერთ დასკვნამდე მიდიოდნენ, საბოლოოდ ხელიხელ ჩაკიდებულნი მუშაობდნენ.

¹ აქედან გასაგებია პრომეთეს მითისა და ამირანის თქმულების ნათესაობა ზოგიერთ ნაწილში.

პრომეთე როგორც განსახიერება პროგრესულობისა, პრინციპიალურობისა და სიმედგრისა ყოველთვის იპყრობდა მოწინავე ადამიანების ყურადღებას. ჯერ კიდევ თავის სადოქტორო დისერტაციაში („განსხვავება დემოკრიტეს ნატურფილოსოფიასა და ეპიკურეს ნატურფილოსოფიას შორის“) კ. მარქსი წერდა: „პრომეთეს აღიარება აშკარად გეტყვი: მეჯავრებით ყველა ღმერთები არის ფილოსოფიის საკუთარი აღიარება, მისი საკუთარი წარმონათქვამი, მიმართული ყველა ზეციური და მიწიერი ღმერთების წინააღმდეგ, რომლებიც არ სცნობენ ადამიანის თვითშეგნებას უზენაეს ღვთაებად. მის გვერდით არავითარი ღვთაება არ უნდა იყოს. მაგრამ საბრალო მშობარებს, რომელნიც ზეიმობენ ფილოსოფიის მდგომარეობის მოჩვენებითი გაუარესების გამო სახელმწიფოში, იგი იმასვე უმოკრებს, რაც პრომეთემ უთხრა ღმერთების მსახურს, პერმესს:

აწ გეშმარიტად, უფოცმანოდ, პირდაპირ გეტყვი:
მე არ გაეცელიდი ჩემს წამებას შენს მონობაზე.
უმჯობესია მონა ვიყო, მაშ, ამ კლდის, ვიდრე
მაცნე, ერთგული ანგელოსი მამა ზევსისა.

პრომეთე—ყველაზე კეთილშობილი წმინდანი და წამებულთა ფილოსოფიურ კალენდარში*. შემდეგაც მარქსი იშველიებდა თავის ნაწერებში პრომეთეს როგორც მებრძოლს საკაცობრიო კულტურისათვის. „წმინდა ოჯახში“ იგი ამბობს: „ნათელი ბინა, რასაც პრომეთე ესტილესთან უწოდებს ერთ-ერთ უდიდეს საბოძვართაგანს, რომელთა საშუალებით მან ველური ადამიანად გადააქცია, მუშებისთვის აღარ არსებობსო“.

ასე, პრომეთე, წინაბერძნული მოსახლეობის შეუდრეკელი მებრძოლი და მოწინავე კულტურის წარმომადგენელი, ადამიანმა მიიჩნია ზოგად-საკაცობრიო სახებად, კაცობრიობის კულტურის მესვეურად.

ს. ყაუხჩიშვილი

მ ი ჯ ა ჭ ვ ე ლ ი
პ რ ი მ ე რ ე

მოქმედნი პირნი

- ძალა და ძალადობა — აღმსრულებელნი ზევსის ნებისა, დემონები.
ჰეფესტოს — ღმერთი ცეცხლისა, მჭედელი.
პრომეთე — ხალხის მოამაგე, ტიტანი.
ქორო ოკეანიდებისა — ოკეანეს ქალთა გუნდი.
ოკეანე — ტიტანი.
იო — არგოსელი მეფის, ინაქეს ქალი.
ჰერმესი — ზევსის მაცნე.

მოქმედება წარმოებს ზღვის პირას, მთაში. ჰეფესტოსს, ძალას და ძალადობას შებოჭილი პრომეთე შემოჰყავთ.



პროლოგი

ჰა, მივალწიეთ დედამიწის შორეულ საზღვარს,
 სკვითთა ქვეყანას, უკაცრიელს და უდაბურსა.
 ჰეფესტო, უნდა აღასრულო მამის ბრძანება:
 მიდი, შეჰკარი არამზადა—ბოროტმოქმედი
 დაუმსხვრეველი ბორკილების რკინის საბმელით
 და თვალშეუდგამ, ამ ციცაბო კლდეს მიაჯაჭვე.
 შენი მშვენება, წყარო ყოველ ოსტატობისა,
 ცეცხლი გიზგიზა მოიპარა და მოკვდავთ უძღვნა.
 მაგ ცოდვის გამო ღმერთებისგან დასასჯელია,
 10 რათა ისწავლოს სიყვარული ზევსის ტახტისა
 და სამუდამოდ დაივიწყოს კაცთმოყვარობა.

ჰეფესტო

შენ ძალავ, და შენ ძალადობავ, ნება ზევსისა
 ოსრულებული გაქვთ სრულიად შეუფერხებლად,
 მე ვით გავბედო, ნათესავი—ეგ ჩემი ღმერთი,
 გრიგალებისგან დაუფარავ კლდეზე დავაბა?
 და მაინც უნდა უნებურად გავბედო, რადგან
 მამის ბრძანების გარდავლენა საშიში არის.

- მართლისმთქმელ დედის—ბრძენ თემიდეს ძეო უბრძნესო,—
შენთვის, ჩემთვისაც უნებურად და სავალალოდ,
20 აუხსნელ ხუნდით უკაცრიელ ამ კლდეს მიგჭედავ,
სად კაცის სახეს ვერ იხილავ, ვერვის მოუსმენ.
მზისგან დამწვარი ტანი შავად დაგებრუდება.
შეებად მიიჩნევ, როს დაჟვარავს დღის ელვარებას
ის გრილი ღამე, მოციმციმე, ჭრელკაბიანი.
დილით კი ისევ მზე გააშრობს განთიადის ცვარს.
ასე მარადეაჲს შეგაძრწუნებს ტანჯვა-წამება,
რადგანაც იგი შენი მხსნელი ჯერ არ შობილა.
აი, რა გერგო ჯილდოდ კაცთა სიყვარულისთვის!
გქონდა ღვთის რისხვა, თვითონვე ღმერთს შეჯავრებული,
30 ხოლო მოკვდავთა კი —ქომაგობდი განუზომელად.
ამიტომ დადექ აქ დარაჯად უდაბურ კლდეთა,
მუხლმოუდრეკლად და უძილოდ სვეტადქცეული.
ხშირი ჩივილით და ამოა გოდებით ხმას ჰყოფ!
მაგრამ რას გარგებს:—ზევსის გული ულმოხელია:
სასტიკი არის მბრძანებელი ახალი მუდამ.

ძ ა ლ ა

კმარა, ამოდ რად წუწუნებ და აგვიანებ?
ღმერთთა მოძულე ღმერთი რისთვის არ გეჯავრება,
ვინაც მოკვდავებს ის საუნჯე შენი გადასცა?

ჰ ე ფ ე ს ტ ო

ნათესაური მე კავშირი მასთან მაშინებს.

ძ ა ლ ა

- 40 მე გეთანხმები, მაგრამ მამის ბრძანება დაჰგმო,—
შენ როგორ ფიქრობ, ეგ საშიში უფრო არ არის?

ჰ ე ფ ე ს ტ ო

შენ მუდამ ყბედი, გულქვა, მკაცრი და პირქუში ხარ.

ძ ა ლ ა

ცრემლები განა მაღამოა? მას ვერ უშველის,
და ამიტომაც უსარგებლოდ ნუ გაირჯები.

ჰ ე ფ ე ს ტ ო

ო, ვით შეგზარდა ახლა იგი ხელობა ჩემი!

ძ ა ლ ა

რატომ შეგზარდა? შენს ხელობას, მართალი რომ ვთქვა,
ტყუილ-უბრალოდ შენ ბრალსა სდებ, აწ კეშმარიტად.

ჰ ე ფ ე ს ტ ო

ნეტავი ვისმე სხვას სცოდნოდა ჩემი ხელობა!

ძ ა ლ ა

50 ღმერთი ყოველი მძიმე შრომას ემორჩილება,
თავისუფალი იმ შრომისგან მხოლოდ ზევსია.

ჰ ე ფ ე ს ტ ო

ეს კარგად ვიცი, არ დაგიწყებ მის გამო დავას.

ძ ა ლ ა

მაშ, ნუ აყოვნებ, დაადევი ეს ბორკილები,
მამა მშობელმა შენ უსაქმოდ რომ არ გიხილოს.

ჰ ე ფ ე ს ტ ო

აჰა, სალტენი მის ხელთათვის, კარგად უცქირე.

ძ ა ლ ა

ჩაუგდე ახლა შიგ ხელები და ეს ძლიერი
დაჭკარი ურო, მთელის ძალით, კლდეს მიაქედე.

ჰ ე ფ ე ს ტ ო

მოგრჩი, ჩემს შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია.

ძ ა ლ ა

კიდევ დაჭკარი. მოუჭირე მაგრად მარწუხი.
ეგ ოსტატია, — გზას მოსძებნის უგზოობაშიც.

3 ე ფ ე ს ტ ო
60 ეს მკლავი მაგრა, საიმედოდ ჩაქედილია.

ძ ა ლ ა

იგეც ჩასქედე, უმეცარმა ვინძლო შეიგნოს,
რომ ზევსი მასზე ბრძენი არის და ზორსმკვრეტილი.

3 ე ფ ე ს ტ ო

ვერვინ გამეცხავს მართებულად ამ მსხვერპლის გარდა.

ძ ა ლ ა

ახლა ფოლადის წამახული შუბი მედიდურს
მკერდში სრულიად დაატაკე და გაუყარე.

3 ე ფ ე ს ტ ო

ვაი, პრომეთე, შენი ტანჯვა უსაშველოა!

ძ ა ლ ა

არ გეშინია ზევსის მტრების წინაშე მოთქმის?
ფრთხილად: გოდება არ მოგიხდეს საკუთარ თავზე!

3 ე ფ ე ს ტ ო

უღვთო სანახავს შენ აქ ხედავ საკუთარ თვალით.

ძ ა ლ ა

70 ვხედავ: დადგენილ სასჯელს იღებს კუთვნილისამებრ.
ახლა ნეკნებზე შემოაქდე მას მარწუხები.

3 ე ფ ე ს ტ ო

ხომ კი ვაკეთებ შე ყველაფერს, ნულარ მაქვსები!

ძ ა ლ ა

მე განა მარტო წაგაქეზებ? გიბრძანებ კიდევ:
ჩაბრძანდი ქვევით, დაადევი ფეხზეც ხუნდები.

3 ე ფ ე ს ტ ო

ყველაფერს მოვრჩი, ჩემი ზრომა არ იყო ძნელი.

ძ ა ლ ა

დასცხე ძლიერად, გაუხვრიტე ფეხის ხუნდები:
შენ აგებ მკაცრი მოსამართლის წინაშე პასუხს.

ჰ ე ფ ე ს ტ ო

შენი ხმა, სიტყვა, შენი სახის შესაფერიი.

ძ ა ლ ა

80 იყავ გულჩვილი, ხოლო ამ ჩემ ჯიუტ ხასიათს,
რისთვის სიმკაცრეს ნუ მიგინებ და ნუ დასცინი.

ჰ ე ფ ე ს ტ ო

შებოქილია ბორკილებით სულმთლად, წავიდეთ!

ძ ა ლ ა

(პრომეთეს)

181527 მაშ ითავხედე, იმ ხანმოკლე უსუსურთათვის
მოჰპარე ზეცას საუნჯენი, მოვიდნენ ჯაცნი
და ახლა შენი ჭირთა ნავი მათ ამოხაპონ.
მცდარად გიხმობენ შენ, პრომეთე, წინასწარმკერეტელს:
თვით საჭიროებ ყოვლისმხილველ-წინასწარმკერეტელს,
რომ ჰპოვოს შენი თავდაღწევის საშუალება.
(ჰეფესტო, ძალა და ძალადობა მიდიან)

პ რ ო მ ე თ ე

90 წმინდა ეთერო! ო, ფრთამაღნო, მქროლავნო ქარნო,
ჩქარ მდინარეთა სათავენო, ზღვათა ურიცხვა
ტალღის ღიმილო სხივოსანო, შენ დედამიწავ,
ყოვლისმხილველო მზისა დისკოვ,—ყველას მოგიხმობთ:
მიცქირეთ, ღმერთი ღმერთებისგან ვით ვეწამები!
ხედავდეთ, როგორ წამებაში აქ უნდა ვიდგე,
დავდნე მირიად საუკუნის განმავლობაში!
ამ ბორკილებით ეს შერცხვენა ჩემი ისურვა
ნეტარ ღმერთების მბრძანებელმა, ახლადშობილმა.
ვაი-მე, ვაი!

ამ დღევანდელ ტანჯვასა ვგლოვობ

და თან ხვალინდელ წამებასაც, ორთავეს ერთად.

00 მწვავე ტკივილთა დასასრული როს ირიქრაეებს?

მაგრამ რას ვამბობ? რაც მეწერა—ადრეც ვიცოდი.

ესქილე.

მოულოდნელად არა ქირი არ შემეყრება.
 უნდა გავუძლო ბედისწერის მოქნეულ უროს,
 გადავიტანო მე ეს ხვედრი, რადგანაც ვიცი:
 გარდუვალობის მბრძანებლობა უძლეველია.
 მაინც ჩემს ხვედრზე მეძნელება დუმილი, გლოვაც.
 მე ვიტანჯები ასე, რადგან კაცთ მივანიჭე
 უხვი საუნჯე—ცეცხლი ძალად მოტაცებული
 და შენახული ხშელ ლერწამის ლულა-ღეროში.
 110 მან ხალხს ასწავლა ოსტატობა, ხერხი მრავალი
 და დაანახვა დიდზე-დიდი გზა ცხოვრებისა.
 აი, ამ ცოდვის საპასუხოდ მე ვეწამები
 ავ ბორკილებით მიჯაჭვული თავლია ცის ქვეშ.
 აჰ, ვაი, ვაი!

ეს რა ექოა, უხილავი, თანაც სურნელი!
 ღვთის მოციქულთა თუ მოკვდავთა მესმის ძახილი?
 აქ ამოდიან, ამ შავბნელ კლდეზე,
 რომ დასტკბნენ ჩემი წაწების ხილვით.
 მაშ, შემომხედეთ ღმერთს მიჯაჭვულს და საბრალოსა,
 120 ზევსის მოძულეს, მტერს, მოსისხლეს ყველა იმ ღმერთის,
 ვინც ქედმოხრილად და სამარცხვინოდ
 დიდ ზევსის სახლში მონურად დადის.
 კაცთ სიყვარულის გამო ვისჯები.

აჰა, კვლავ მესმის გაფრენილ სირთა
 ხმაური, სტვენა და გაპობილი
 მოქნე ჯალ ფრთისგან შხუის ეთერი.
 მზარავს ყოველი, რაც ახლოვდება!
 (ორქესტრაში ჩნდება ფრთიან ეტლში მჯდარი ქორო ფერიებისა, ოკეან
 დებისა).

პაროდოსი

ქორო

სტროფი 1

ნუ გეშინია! ამ კლდეს ვეწვიეთ,
 გაჯიბრებულნი მწყობრი ფრთებითა,
 130 ნორჩ დღეთა შენთა ჩვენ მეგობარნი.
 ძლივსლა გავადნეთ ხვეწნა-მუდარით

იმ ჩვენი მამა მშობელის გული.
სწრაფლმავალ ქარმა წარგვტაცა სმენა
და ჩამოგვესმა მღვიმეთა შინა
ქალიბის რკინის ექო და გრგვინვა.
დავაგდეთ რიდი და ფეხშიშველნი
გამოვეშურეთ ფრთიანი ეტლით.

პ რ ო მ ე თ ე

ვაი, ა-ვაი,
ნაშობნო ტეთის შვილმრავალისა
140 და დიად მამის ოკეანესი,
ფხიზელი რბენით გარს რომ უვლის მთელ დედამიწას,—
ხედავთ: ვითა ვარ მიჯაჭვული რკინის ხუნდებით
კლდოვანი ქედის ქარაფების, ქვაშვეტთა ზედა!
აქ ვდგევარ ახლა
სამარცხვინო სადარაჯოზე.

ქ ო რ ო

ანტიბროფი 1

ვხედავ, პრომეთე, და საშინელმა
ნისლმა დაჰბურა თვალები ჩემი,—
ცრემლმა აღავსო ისინი უმაღ.
გხედავ შავ კლდეზე
50 სატკნობად გაკრულს,
ადამანტურის ხუნდით შერცხვენილს.
ახლა ოლიმპის მესაჰე ახლად
მეფობს ახალი და ძველ კანონებს
აწ ფეხქვეშ სთელავს უხეშად ზევსი,
და რაც დიდობდა,—იქცა არარად!

პ რ ო მ ე თ ე

ნეტავ ჩავეგდე დედამიწის ქვემოთ — ჰადესში,
მკვდართა მასპინძლის უსინათლო, ყრუ ჯოჯოხეთში
და იქ დაედო უნდო ჯალათს რკინის ხუნდები,
რომ ღმერთს, ან ვისმე
60 არ შესძლებოდა ჩემი დაცინვა.

ახლა კი ქართა მოხეტეთა სათამაშო ვარ,
მტერთა საამოდ, გასართობად გაწამებული.

ქორო

სტროფი 2

ნეტა რომელი ქვაგული ღმერთი
გაიხარებდა აქ შენს წინაშე?
ვინ არა სტირის, გარდა ზევსისა,
შენთან შენსა ქირს? ის ბრაზიანი
და ის უწყალო, ცდილობს აღმოფხვრას
ურანის მოდგმის ბებერი თესლი.
არ მოისვენებს და არ დადგება,
170 ვიდრე ბოლომდე გულს არ იჯერებს,
ან არ წაჰგლეჯენ ხერხიან ბრძოლით
ხელთაგან წყეულ ხელისუფლებას.

პრომეთე

თუმცაღა აქ ვარ ბორკილებით დაკიდებული,
დასახიჩრებულ-შერცხვენილი, — მას დავჭირდები
და მაინც მე მთხოვს, ის მეუფე ნეტარ ღმერთების,
რომ მისი სკიპტრის და დიდების დამამხობელი
მე მას ახალი შეთქმულება შევატყობინო.
მაგრამ ხმატკბილი ლაღადისით ჯადოს ვერ შემყრის,
ვერ დამიმონებს, ვერ მომნუსხავს, ვერ დამიყოლებს,
180 ვერცა მუქარით შემაშინებს და გამომტეხავს,
სანამ არ ამყრის ავ ბორკილებს
და არ ისურვებს, —
შეგინებისთვის რომ მომიზღოს საშაგიერო.

ქორო

ანტისტროფი 2

შენ ხარ მამაცი და შენ სიმწარე,
ვიცი, ორმაგიც ვერ დაგაჩოქებს!
თავისუფალი, პირამთქმელი ხარ.
ელდის ისარი სულში მერქობა,
დიდად მაშინებს მე შენი ხვედრი:

- ვაჰ, თუ ტანჯვის ზღვა ველარ გასცურო!
190 შეუვალია და უღმობელი
ავდიდი გული კრონოსის ძისა.

პ რ ო მ ე თ ე

ვიცი, ვით არის უღმობელი, რომ ზევსს ჰგონია, —
მისი კანონი თვითნებური და უგუნური
მართლა სიმართლეს და სამართალს ემსახურება.
მაგრამ ერთხელაც ჟამი დაჰკრავს და მაშინ იგი
გახდება მეტად გულკეთილი და მოალერსე,
თავის უღმობელ რისხვას დასთმობს ბედით თელილი,
იჩქარებს შეჰკრას მეგობრული ჩემთან კავშირი,
იჩქარებს, და მეც შესახვედრად გამოვალ მაშინ.

მ პ ი ს ო ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ს ც ე ნ ა პ ი რ ვ ე ლ ი

ქ ო რ ო

- 200 მარტვი ყოველი აშკარად, სრულად:
რა ბრალს გდებს ზევსი, ან რისთვის გებრძვის?
რად გტანჯავს, გრისხავს ასე უწყალოდ, —
გვასწავე, თქმა თუ არ არის მწვავე.

პ რ ო მ ე თ ე

- თქმა მწარე არის, უთქმელობაც — ტანჯვაა ჩემთვის.
ერთიცი, მეორეც ყოველის მხრივ უსიამოა.
ოდეს უკვდავთა შორის გაჩნდა უთანხმოება,
ღმერთთა სასტიკი, ბოზოქარი, მძვინვარი ჯანყი
და განიზრახეს მათ კრონოსის ტახტის დამხობა,
რათა ზედ ზევსი ასულიყო, ზოგს კი სწყუროდა,
210 არ შესძლებოდა ზევსს იქ ჯდომა მეუფედ ღმერთთა, —
მაშინ ტიტანთა, ცის და მიწის შვილთათვის კიდეც
კარგის მრჩეველი და შთამკონე მე ვიყავ სწორედ.
მაგრამ ისინი ტკბილი სიტყვით ვერ დავარწმუნე,
რადგან მზაკვრულ ხერხს უარჰყოფდნენ ქედმაღლურადა
და ღია ბრძოლით იჩემებდნენ გაბატონებას.
დედა ჩემი კი — ერთი, მაგრამ სახელმწიფალი:

- თემიდე, გეა, არა ერთგზის, მომავალ დღეთა
წინასწარ ჰვრეტდა, მეტყველებდა და მასწავლიდა,
რომ ქვეყნად არა მამაცობა და მარტო ღონე,
- 220 არამედ ხერხი იმკვიდრებისო ძალაუფლებას.
მათ აღთქმა იგი გავუმჟღავნე, მაგრამ განაგდეს,
ყურად არ იღეს და სრულიად არ შეიწყნარეს.
მაშინ უკეთეს, საიმედო გზად მივიჩნიე:
დედას თემიდეს დახმარებით და მასთან ერთად,
ნებაყოფლობით, მე ახლა ზევსს მივშველებოდი.
ჩემ რჩევის გამო მოხდა ის, რომ იმ ჯოჯოხეთის
შავ-ღრმა ჯურღმულში დაიმარხა კრონოსის მოდგმა
და ყველა მისი თანამგზავრნი. მაგრამ შველისთვის, —
ღმერთთა მეუფემ ულმობელად იძია შური.
- 230 განა ასეთი ავი სენი არ სჭირთ მტარვალებს:
არ დაუჯერონ და არ ენდონ თავის მეგობარს!
ხოლო თქვენ მკითხავთ: რა მიზეზის გამო მაწვალებს,
რად მასახიჩრებს, მტანჯავს იგი? აშკარად გეტყვით:
მალე, როს ტახტი დაიმკვიდრა მამისეული,
მაშინვე ღმერთებს მიანიჭა ზევსმა პატივი
და საბოძვარი მრავალგვარი განუყო ყველას, —
კაცნი ბედშავნი დაივიწყა და კიდეც მეტიც:
ახლა აღმოფხვრა განიზრახა მოკვდავთ მოდგმისა,
რომ მის აღგილას დაენერგა სულ სხვა, ახალი, —
- 240 და ჩემს გარეშე მათი შემწე არავინ იყო.
მე კი გავბედე შემართება, რათა მოკვდავნი
ჰადესში სრულად შოანთქმისაგან გადამერჩინა.
აი, მის გამო მდრეკს ისეთი ავი წამება,
რომ მისი ხილვა — საზარია, განცდა — მეტადრე.
კაცნი მოკვდავნი შეგნებულად მე შევიბრალე, —
ჩემი ტანჯვა კი ახლა არვის არ ენალვლება.
ისე გამწირა უმოწყალოდ, ღმერთთა ხელმწიფემ,
რომ მას თვით არცხვენს ჩემი ტანჯვის სანახაობა.

ქორო

- გული რკინისა, ანუ ქვისა უნდა ჰქონდეს მას,
- 250 ვინც დღეს, პრომეთე, შენს ტანჯვაზე არ შეძრწუნდება.
მე კი მერჩია, არ მენახა წამება შენი,
გნახე და ვტირი, მწუხარებით გულდათუთქული.

პრომეთე

დღეს ჩემი ხილვა, ალბათ, მტერსაც დაენანება.

ქორო

იქნებ მეტი რამ ჩაიდინე, ვიდრე მითხარი?

პრომეთე

ჰო, განვარიდე კაცნი ბედის წინასწარქვერტას.

ქორო

ნეტავ რა წამლით უმკურნალე შენ იმათ სენსა?

პრომეთე

მის ნაცვლად გულში ჩავუნერგე ბრმა იმედები.

ქორო

ეს მოკვდავთათვის დიდი განძი, საჩუქარია.

პრომეთე

და კიდევ მეტი: მე მოკვდავებს ცეცხლი მივეცი.

ქორო

160 ნუ თუ გიზგიზა იმ ცეცხლს ჰფლობენ ეფემერები?

პრომეთე

ის მრავალ ხერხს და ოსტატობას პათ შეასწავლის.

ქორო

შენ ამ მიზეზის გამო ასე გაწვალებს ზევსი?

პრომეთე

მტანჯავს, მაწვალებს, მასახიჩრებს ბოროტი ხელით.

ქორო

ამ შენს წამებას სამარცხვინოს არა აქვს ბოლო?

პრომეთე

თუ არ ისურვებს ზევსი, ისე ფიქრიც მეტია.

ქორო

ვით არ ისურვებს? იმედს არ სჭერეტ? სცან, რომ შესცოდ
ამას რომ გკიახავ, — ჩემთვის დიდად უსიამოა,
შენთვის — წამება, მაგრამ მინდა, შენ თავს უშველო
და გამოსძებნო გზა-სახსნელი ავბედისაგან.

პრომეთე

- 270 სანამდე ქირში არ ჩაუდგამს ვისამე ფეხი,
მას უბედურის დარიგება აღვილად უჩანს.
ხოლო გეტყვით თქვენ: ეს წინასწარ ყველა ვიცოდი,
და შეგნებულად, ჩემის ნებით ხალხს დავეხმარე.
არა უარყყოფ, არ ვუფრთხოდი მის გამო სასჯელს,
თუმცადა ასეთ დიდ წამებას არ მოველოდი:
ამა უდაბურ, უკაცრიელ და ვერან კლდეთა
გულფიცხ ლოდებზე დაკიდებას, მარადეამ დაშლას.
კმარა, იყუჩეთ, აქ ჩემ გამო აწ ნულარ გოდებთ.
ეახლეთ მიწას, მალზედმალე სცანით ყოველი, —
- 280 მომავალ დღეთა ჩემთა ბოლო და დასასრული.
კარგად მისმინეთ, მომისმინეთ. თქვენც ჩემთან ერთად
ცოტა ეწამეთ. მაწანწალა ავბედი განა, —
ერთისგან მუდამ მეორესთან არ მიდის სტუმრად?!

ქორო

- პრომეთე, ჩემი ნებისამებრ, შენს დაძახილზე
მსუბუქი ფეხით ამ ეტლიდან გადავფრინდები.
დავტოვებ ეთერს და სწრაფლმავალ სირთა ბილიკებს,
წმინდა, ცისფერ გზებს.
ფრიალოკლდიან დედამიწას თავს დავტრიალებ.
მინდა ვისმინო, თავითბოლომდე,
- 290 მე შენი ტანჯვის გამო ამბავი.

(ჩნდება ფრთიან მერანზე მჯდარი მოხუცი ოკეანე)

სცენა მეორე

ოკეანე

მე გრძელ საზღვართა გზები გავლიე
და ასე მოველ შენთან, პრომეთე,

ჩემის ნებითა, უაღვიროდა,
ჩქარფრთიან მერნის გამოქროლებით...

შენდე: მალონებს შენი ავბედი.

ჯერ ერთი: ჩემი თვისტომი ხარ
და ამის გარდა, —

ქვეყნად ვინ არის, შენი ბედი ჩემებრ სტანჯავდეს?

300 წრფელი რომ არის ზემოთქმული, თვითონ გაიგებ.
მძაგს თვალთმაქცური და ცბიერი სიტყვა საოცრად.

მარქვი: მე როგორ დაგეხმარო
და აღიარე,

რომ არ გყავს ქვეყნად მეგობარი და ნათესავი,
ოკეანეზე უფრო ძლიერ რომ გიერთგულოს.

პრომეთე

ოჰო, მალე! შენც მოდიხარ, რათა უყურო
აქ ჩემ წამებას? დიდად მიკვირს: როგორ გაბედე
შენი სახელის მოზიარე ზღვის, ოკეანის,
და პირველქმნილი მღვიმეების კლდეთა დაგდება,
რომ რკინის-დედის ქვეყანაში მოსულიყავი!

310 ჩემი ავბედი, შემზარავი, შენცა გაშფოთებს?
შებდე წარმტაც თვალისსეირს: ზევსის მოკეთეს,
ვინაც ღმერთს ტახტი მოუპოვა და ხელმწიფობა, —
აწ იგივე ზევსი როგორ ღუპავს და ასახიჩრებს.

ოკეანე

ვხედავ, პრომეთე! უკეთილეს რჩევით მოგმართავ,
თუმცა ხარ თვითონ მრავალფერი შენ ხერხიანი.
ზნე შეიცვალე, გონზედ მოდი და თავი იცან!
განა ახალი არ ბრძანებლობს ღმერთებს ბატონი?
შენ კი ჯიუტობ, ტყიურ სიტყვას ისვრი, იძახი,
და თუმცა მალლა, ტახტსა ზედა, შორსა ზის ზევსი, —

320 იქაც მიწვდება და იცოდე, მაშინ წარსული
ტანჯვა და ჭირი თამაშობად მოგეჩვენება.
დააგდე ბრაზი, გულისწყრომა, შე უბედურო.
ეძებე, ჰპოვო გზა-საშველი ავბედისაგან.
იქნებ დრომოქმულ თქმად ჩასთვალო შენ ჩემი ბჭობა,
მაგრამ, პრომეთე, ქედმაღალი სიტყვის შედეგი

თვითონ გაქვს ახლა შეგნებული შენ ჩემზედ უფრო.
მაინც არ დაცხრი, არ დამშვიდდი, და ამის ნაცვლად,
ცდილობ ავ ხიფათს დაამატო ისევ ხიფათი.
გახსოვდეს ჩემი ნაუბარი, დამიჯერებდე,

- 330 რომ შუბლით კედელს ვერ გაარღვევ და ვერ შეჭმუსრავ.
ხედავდე მეფობს უბატონო, მკაცრი ხელმწიფე.
მე წავალ მასთან, შევეცდები, იქნების შევძლო
და გამოგიხსნა ამ უწყალო წამებისაგან.
შენ კი იყუჩე, დაიმოკლე როგორმე ენა.
ხარ ყოვლის-მცოდნე, ბრძენზედ-ბრძენი და რად არ იცი,
რომ ამოო თქმას და ურჩ სიტყვას მოსდევს სასჯელი?

პ რ ო მ ე თ ე

- მშურს შენი, რადგან დაუსჯელად დაიარები,
ჩემთა ზრახვათა და საქმეთა თანაზიარი.
მაგრამ ნუ ზრუნავ და ამოდ ნუ გაირჯები:
340 ნუ გჯერა ზევსი დაარწმუნო ოდესმე შენა.
დახე, მაგვარ გზით, არ შეგემთხვეს თვითვე ხიფათი.

ო კ ე ა ნ ე

შენ უკეთ იცი დარიგება მოყვასის, ვიდრე
საკუთარ თავის. სიტყვა შენი ღალატებს ამას.
მაგრამ ნუ მიჰერ, ნუ მაკავებ, ვიცი და მჯერა,
მჯერა, მაჩუქებს შენ თავს ზევსი და მოისურვებს
ამიერიდან შენს გამოხსნას წამებისაგან.

პ რ ო მ ე თ ე

- გაქებ ამისთვის, შენს ქებაში ვიქნები მარად,
რადგანაც შენი მონდომება ძლიერ დიდია.
მაგრამ ამოდ გაირჯები, უქმად იშრომებ
350 და განუსჯელად, თუ კი შრომას მართლა აპირებ.
აწ განზე დადექ, შენთვის იყავ წყნარად და მშვიდად.
მე ვიტანჯები, მართალია, მაგრამ არა მსურს,
რომ ამის გამო სხვაც ეწამოს, სადარდებელად
ჩემი ღვიძლი ძმის—ატლანტისა ბედიც შეყოფა.
შორს დასაველეთის საზღვარში დგას და მის ღონიერ

- მხრებს ებჯინება ცის და მიწის ბოძის სიმძიმე,
 არა მსუბუქი და იოლად სატარებელი.
 გულს მიკლავს კიდევ, კილიკიის მღვიმეთა შინა
 მცხოვრები გმირი, მომთაბარე, მიწით ნაშობი, —
- 160 ტიფონი დევი — ის ურჩხული ასთავიანი,
 ვინც ყველა ღმერთებს გადაუდგა და აუწმედრდა.
 უღრჭიალებდნენ ზარდამცემი ხმა-სტვენით ყბები
 და ცეცხლს აფრქვევდა გულშემზარავ თვალთაგან შმაგად.
 ძალით უნდოდა, რომ დაემხო ღმერთი მტარვალი,
 მაგრამ მარადეამ ძილფხიზელმა ზევსის ისრებმა,
 ცეცხლმოდებულმა მეხმა დასცა და მყის განგმირა
 და მან დააცხრო რგი კვეხნა-ქადილის გამო.
 ელვა ეძგერა, მეხმა დასწვა, გაანადგურა,
 სულმთლად წაართვა მას ძალღონე უკანასკნელი.
- 170 ვიწრო სრუტესთან გაიშალა უმწეო ტანი.
 წევს და აწვება მკერდზე ეტნის ფუძე და ფესვი,
 იქ კი, მწვერვალზე ზის ჰეფესტო, და გამუდმებით,
 ვარვარა რკინას სჭედს და ჰკვერავს. მაგრამ დრო მოვა, —
 მთის წიაღიდან ავარდება ცეცხლის ღვართქაფი
 და ველურ ყბებით მიადგება და სულ გადახრავს
 მწველ სიცილიის ნაყოფიერ და ფართო ყანებს.
 თუმც ზევსმა ცითგან მეხის ისრით დაანახშირა,
 ტიფონი მაინც ხვატით გამდნარ ბრაზის სიშმაგეს
 და ცეცხლისმქშენი ავ გრიგალის ცოფს ამოანთხევს.
- 180 მაგრამ რად გინდა, რომ გასწავლი, უვიცი არ ხარ,
 და ვით გერჩიოს, საკუთარ თავს ისე უშველე.
 მე კი დავიცდი, ბედისწერას ბოლომდე შევსვამ,
 სანამ გულიდან ზევსი რისხვას არ ამოიღებს.

ოკეანე

ნუ თუ, პრომეთე, შენ არ იცი და არ გსმენია,
 რომ გონივრული სიტყვა არის ბრაზის მკურნალი.

პრომეთე

ჰო, თუ ჩვენ დროზე დავაამებთ გულის ბმო-მუწუკს,
 მაშინ სიმსივნეს დაჩირქებულს არ ვამიზეზებთ.

ოკეანე

ჩემ მონდომების და განზრახვის აღსრულებაში
შენ რა ცუდს ხედავ, რად არ მოგწონს, გამოგებინე.

პრომეთე

390 უკში შრომაა, განუსჯელი გულკეთილობა.

ოკეანე

მომეცი ნება, ე მაგ სენით მეც დავსწეულდე,
რადგან ბრძენს შვენის, რომ ხანდახან ბრძევად ჩასთვლიან.

პრომეთე

ჩემად ჩასთვლიან, მეშინია, იმ შეცდომასაც.

ოკეანე

მაშ, შენ ნამდვილად, ე მაგ სიტყვით, მე შინ მისტუმრები?

პრომეთე

ჩემზე ტირილით რომ არ გეცეს შენ მისი მტრობა.

ოკეანე

ვინც უზენაეს, ახალ ტახტზე ახლა დამკვიდრდა?

პრომეთე

დიახ, ნურასდროს შეაშფოთებ იმის გულს შენა.

ოკეანე

გაკვეთილია შენი ჭირი ჩემთვის, პრომეთე!

პრომეთე

წადი, იზრუნე, შეინახო ეგ შენი ჭკუა.

ოკეანე

- 20 მე უსიტყვოდაც გზას ვადგივარ, ჩემი ოთხფეხა
მფრინავი ფრთებით ჰკვეთს ეთერის ცისფერ ბილიკებს...
მას უხარია, რათა ისევ მოჰყაროს მუხლი
და მოისვენოს თვის მშობლიურ ბოსლის ბაგაზე.

სტასიმი პირველი

ქორო

სტროფი 1

- დავსტირი მე შენს უბედურ ხვედრსა,
ცრემლთა-დენითა, ხედავ, პრომეთე!
კვლავ მელვრებიან ცრემლთ ნაკადულნი,
ჩამოდენილნი ნალვლიან წყაროდ
ამ ნაზ თვალთაგან ნოტიო ლაწვზე.
ზეესი თვის სამწყსოს ძალით ამაგრებს
და გულზვიადი, წინათ ღვიძლ ღმერთებს,
აწ შუბით მეხავს და იმორჩილებს.

ანტისტროფი 1

სტირის და გოდებს ეგ დედამიწა!
დასტირის ყველა
გარდასულ ჟამის შენს ძველ დიდებას,
შენს ძმებს — ტიტანებს, პათივის ღირსთა...
დასტირის ყველა, ყველა ვინც ცხოვრობს
აზიის ახლო თქმულ საძოვრებზე.
სტირიან ერთად ძლიერ გულსაკლავ
ამ შენს წამებას ყველა მოკვდავნი.

სტროფი 2

- 20 კოლხიდის მკვიდრნი: ყმაწვილნი ქალნი,
ომში მამაცნი და უშიშარნი,
დედა-მიწისა შორსა მხარეში,
მეოტიის ტბის ბრაგა-კბოდებთან
მომთაბარენი სკვითთა ურდონი.

ანტისტროფი 2

მზე და მშვენიება არიას ქვეყნის —
მკვიდრნი, მცხოვრებნი კავკასიონთან, —
მტრისა ლაშქარნი, ტყვები აჯარულ,
წამახულ შუბთა ზათქით და ზარით.

სტროფი 1

- 430 მე მხოლოდ ერთ ღმერთს ვცნობდი ფოლადის
ხუნდით შერცხვენილს — ატლანტს ტიტანსა,
მაგრამ უბადლო და ძალოსანი
ის ლონიერი, ძლიერი ქედით
ახლაც ცის ბოძის ზიდავს სიმძიმეს.

ანტისტროფი 1

რბის და ღრიალებს ზოვის მოტალღება.
გოდებს ჰადესის უფსკრული შავი.
ქუხს და გუგუნებს მიწის ჯურღმული.
სტირიან მწარედ შენს კმუნვა, ნალველს
წმიდადმავალნი მდინარეთ წყალნი.

ეპისოდო მემორა

პრომეთე

- 440 ნუ ფიქრობთ ვდუმდე ქედმაღლობის, ზვაობის გამო.
არა, მე დარდი გულს მიდაღავს, როდესაც ვხედავ
ჩემ თავს ამგვარად შეგინებულს და შერცხვენილსა.
განა მე ახალ იმ ყველა ღმერთს არ მივანიჭე
განძი, დიდება და პატივი შესაწირავი?
რაღ იცით, მასზე არას გეტყვით, ხოლო უსმინეთ
მოკვდავთა მძიმე ხვედრის გამო ახლა ნაუბარს.
ისინი იყვნენ ჩვილებივით უტყვი, უგონო,
და მე ჩავუდგი ჩაუქრობი აზრი, გონება.
ამას რომ ვამბობ, არა ვყვედრი, არამედ მინდა
450 ჩემი წყალობის და სიკეთის არსი გაიგოთ.
კაცნი მხედველნი, — უსინათლოდ მაინც რჩებოდნენ,
ისმენდნენ, მაგრამ არ ესმოდათ და მიათრევდნენ

რაღაც ნისლიან, ძილისმაგვარ დღეთა გრძელ ჭაპანს.
 მათ არ იცოდნენ ხურობა, ხის თლა, გარანდვა,
 არც აგურისგან ნათელმზიან სახლის აგება.
 ვითარცა თარსი ჭიანჭველნი, ცხოვრობდნენ ისე
 მიწის ჯურღმულის იმ უმზეო, ღრმა მღვიმეებში.
 მაშინ ვერ სცნობდნენ გლახმოკვდავნი ზამთრის ნიშანთა,
 ვარდის ფურცლობის ეამს მოწეულ გაზაფხულისა;
 50 ვერც მსხმოიარე ზაფხულის ეამს, ეამს მწიფობისა.
 ასე ყველაფერს უყურებდნენ უგონოდ კაცნი,
 და მე ვუზენე ცის მნათობთა ჩასვლა, ამოსვლა.
 ვასწავლე თანაც ყველა სიბრძნის სათავე—წიგნი,
 რიცხვთ ანგარიში და შთაენერგე შთაგონებული
 მეხსიერება—ეგ მუხათა დედა-მშობელი.
 მევე დავადგი შლეგ პირუტყვებს ქედზე უღელი
 და დავუმონე გუთნის ჭაპანს, საპალნეს, კურტანს.
 შევუმსუბუქე მით კაცს მძიმე შრომა და ჯაფა,
 ეტლში შევაბი სადავეთა მორჩილნი ცხენნი,
 70 ფუფუნებისთვის მდიდართაგან შეყვარებულნი,
 და განა მე არ მოვიგონე სელის ფრთიანი,
 ეგ აფრიანი მარბენალი ზღვაზე ხომალდი?
 აღმოვუჩინე იმ საბრალო მოკვდავთ ყოველი:
 ხერხი, ხელობა, ოსტატობა. მე კი არ ვიცი,
 ამ ხიფათისგან გასაქცევი საშუალება.

ქორო

ტანჯვა-წამებამ, სამარცხვინო უბედურებამ
 შენ წინანდელი ჭკვა მოგტაცა, სასო მიგხადა,
 ვით იმ ცუდ ეჭიმს სენშეყრილსა, რომ ვერ ახერხებს
 ჰპოვოს თავისთვის სამკურნალო რამე წამალი.

პრომეთე

30 კიდევ მისმინე: გაოცდები უთუოდ ძლიერ,
 თუ რა ხელობა, ოსტატობა გამოვიგონე.
 აი მთავარი: სენშეყრილი ვინმე თუ იყო,
 როდი იცოდა მისაღები და წასაცხები
 მარგი წამალი სამკურნალო და კლექტებოდა.
 მე შევასწავლე სამკურნალო ბალახთა წვენი,

- მალამო-წამლის შეზავების უცნობი წესი,
 რათა კაცთაგან მით განმეგდო სენი ყოველი.
 მე შემოვიღე ღვთაებრივი წინასწართქმისა
 ხერხი, შეცნობა და მისნურთა სიზმართა ახსნა—
 490 თუ რაა მათში ქეშმარიტი და მოჭორილი,
 და გავაცხადე გზის ნიშანთა სიმბოლოები.
 მე დავანახე და ვასწავლე მრუდებრქყალიან
 სირთა გაფრენის მეოხებით კაცს მკითხაობა,
 მათი ადათი, ხასიათი, შური და მტრობა.
 სირთა სმა-ჭამა, დადგენილი თავშეყრა, ბჭობა,
 თუ რომელია სასიკეთო და უკეთური—
 გუნდგუნდად ფრენა, მტერ-მოყვრობა და სიყვარული-
 ღმერთებისათვის სანუკვარი, მეტად საამო
 ღვიძლი და ტყირპი, ის ფერადი, ფორაჯიანი,
 500 ქონით მოცული, გაპოხილი ბარკალი, ბეჭი,
 შევწვი თვალთაგან მე უხილავ გიზგიზა ცეცხლზე
 და ხელსახები მით გავხადე ალის ნიშანი,
 ის მოკვდავთათვის წინათ უცხო ხელობა ძნელი.
 ეს ასე არის და ვინ იტყვის, რომ მოუპოვა
 მიწის წიაღში დამარხული რკინა, სპილენძი,
 ოქრო და ვერცხლი კაცს ჩემამდე ნეტავი ვინმემ?
 ამას ის იტყვის, ურცხვად კვეხნა ვისაც სჩვევია.
 მოკლედ თუ გინდა რომ გაიგო სიმაართლე, გეტყვი:
 აქვს ხელოვნება ყოველგვარი ხალხს პრომეთესგან.

ქორო

- 510 შენ მოკვდავთათვის ნუ ხარ ეგრე უზომოდ შემწე,
 არამედ მოდი, რამ იღონე ხიფათში მყოფმა,
 მე კი მგონია, როს მოიხსნი შავბედით ხუნდებს,
 ძალღონით ისევ ზევსს, უთუოდ, გაუტოლდები.

პრომეთე

ჯერ უზენაეს ბედისწერას ეგ არ დაუთქვამს.
 თუმც ათასგვარი ავი ქირით ვარ დაჩოქილი,—
 მაინც ამ ხუნდებს გავექცევი და თავს დავალწევ.
 თუმც ხერხს და ღონეს ბედისწერა დიდადა ჩრდილავს...

ქორო

ნეტავ მესაქედ ვინ ბრძანდება ბედისწერისა?

პრომეთე

სამი მოიბრძო, ხსოვნის სულნი—ერიწიები.

ქორო

0 და ზევსი განა მათზედ უფრო უძლური არის?

პრომეთე

რაც უწერია, მას ისიც კი ვერ გაექცევა.

ქორო

რა უწერია? ზევსი მარად არ იხელმწიფებს?

პრომეთე

მაგ შეკითხვებით ფესვებამდე ნუ მეტანები!

ქორო

შენ რაღაც დიდი საიდუმლო გაქვს შენახული.

პრომეთე

სხვა რამ იუბნეთ, აწ ისა სჯობს, მისი თქმის ეამი
ჯერ არ დამდგარა. საიდუმლო ღრმად შენახული
და დაფარული უნდა მქონდეს, მაშინ წამებას
და სამარცხვინო ამ ბოროტეებს გადავურჩები.

სტასიმი მეორე

ქორო

სტროფი 1

არა წარხოცოს გონება ჩემი,
ზევსო, აწ შენმა მოქიშპე ძალამ,
გარნა მახსოვდეს: ღვთაებრივი, შესაწირავი
კერძი-ბეჭები დაკლულ ხართა მოგართვა ღმერთსა
მშობელი მამის—ოკეანის ცისფერ ზღვის პირას

ქილე.

და არ ვუბნობდე დეე, უქმადა,
არამედ მარად ვაცხოვლებდე ამ ჩემს აღთქმასა.

ანტისტროფი 1

ნეტარებაა ამ ცხოვრების ჭაპანსა სწევდე
და მწველ გაბედულ იმედებითა,
მზიურის ლხენით გულს აღივსებდე.
მაგრამ ვკანკალებ, ოდეს გიყურებ,
540 ათას ჭირისგან გაშმაგებულსა!
შენ კი არ გიპყრობს შიში ზევსისა
და მოკვდავთ ეტრფი ჭარბად, პრომეთე!

სტროფი 2

მაშ დამიჯერე აწ, მეგობარო:
ის უბედურნი—ეფემერნი ვერ შეგიფარვენ.
რას გიშველიან უმადურნი შენი მადლისა?
ნუ თუ ვერ ხედავ
მათ უსასოო, ძილის მაგვარ, მკვდარ უძლურებას,
რითაც გამხდარა ბორკილებით ფეხებშეკრული
ის უსინათლო, ყრუ და მუნჯი მოდგმა კაცისა!
550 ვერა, ვერას დროს აწ მოკვდავნი ვერ დაანგრევენ
მეუფე ზევსის ჰარმონიულ და მწყობრ ქვეყანას.

ანტისტროფი 2

მე ასე გეტყვი, ოდეს ჩავწვდები
ამ შენს დამღუპველ ავ ხვედრს, პრომეთე!
განა ასეთი სიმღერა ჟღერდა,
როს დედა ჰბანდა სურნელით სასძლოს,
ოდეს ქორწილით მოჰკალ წყურვილი
და ორთავ თქვენი მამის მზითვებით
შინ წაიყვანე ჰესიონა—ცოლი ძორჩილი,
560 შენი სარეცლის თანაზიარი?!

ეპისოდო მესამე

(შემოვბრუნდით შეშლილი იო. შუბლზე ძროხის რქები ასხია)

იო

ეს რა მხარეა? რა ხალხია? ვინ იყურება,
კლდეს მიჯაჭვული ქართა პირისპირ?

რა ცოდვისათვის იღებს ამ სასჯელს?
მიწის რა საზღვარს მივადექ ახლა,
მე უბედური, მოხეტიალე?

ა-ვაი, ე, ე,

ისევ მკბენს, მსუსხავს ავი კრაზანა,
და მედევენება მიწის შვილის—მწყემსი არგოსის
ათასთვალეება, საზარელი იგი აჩრდილი,
აჰა, ვერაგი, მომნუსხავი თვალი დამადგა.
აღარ ისვენებს შავ მიწაში დაფლული მკვდარი
და ჯურღმულიდან ამოსული, იგი უწყალოდ
ნადირობს ჩემზე და მედევენება
ზღვის ქვიშიანი ნაპირებით, როგორც მწყევარი.
ძილისპირული, საამური ჰანგის მომგვრელი,
კვლავ გალობს კალმის სალამური სანთლით შეკრული.
ო, სად მოვედი გზააბნეული,
შეჩვენებული, მოხეტიალე?

რისთვის მარგუნე ტანჯვა ამგვარი,

ო რა ცოდვის გამო, კრონოსის ძეო?

ე, ე, მითხარი: რისთვის მაწვალე,
კრაზანით შემკრთალ და შეშლილ ასულს?
სჯობს ცეცხლით დამწვა, მიწაში დამფლა,
ან ზღვათა მხეცებს მიმცე საჩმელად.

ნუ თუ არ გესმის,

მეფე-ბატონო,

ჩემი ვედრება, მუდარა ჩემი?!

დამაჰკნო ქვეყნად შმაგ ხეტიალმა.

არ ვიცი როდის

გასრულდება წამება ჩემი.

ისმინე ოხვრა ძროხისრქიან ქალწული ქალის.

პ რ ო მ ე თ ე

კრაზანით დევნილ ინაქეს ქალს ვით არ ვუსმინო,
ვინც სიყვარულით ზევსს გაუთბო, გაუღბო გული
და ჰერასაგან სიძულვილით შეჩვენებული
ახლა გრძელ რბენით ძალად იწრთვნება.

- როგორ გაიგე ჩემი მამის სახელი შენა?
 მითხარ გულმოკლულს, უბედურსა, თვით უბედურო,
 ვინა ხარ შენა? ო, ვინა ხარ, ასეთ სისწოროთ,
 აქ ჭეშმარიტად რომ მომესალმე?
- 600 შენ ღვთისმიერი ახსენე სენი,
 მე რომ ტანს მიჰკნობს, მკერდს მიშანთავს, ჭევენად მატარებ
 ე, ე.
 ჰკვათხელი როკვა-ხტომით, მშიერ-მწყურვალი,
 გავრბოდი შლეგი, შერცხვენილი ჰერას რისხვისგან.
 ვინ იყო ჩემებრ დათრგუნვილი, შეჩვენებული?
 ვინ უბედური დაისაჯა ამრიგად, როგორც
 მე ვიტანჯები? ოი, ოი, ე!
 მაგრამ მაცნობე ნათლად ყოველი,
 თქვი, რა წამება მომელის კიდევ?
- 610 რა წამალია ჩემ სენის მარგი?
 დაასახელე, თუ იცი იგი,
 მითხარ, მასწავლე, მიპასუხე მოხეტე ქალწულს!

პრომეთე

გეტყვი შენ ნათლად ყოველივეს, რაც გსურს იცოდეს
 არა იგავით, არამედ სწორ, უბრალო სიტყვით,
 მეგობართ შორის ვით ამბობენ პირამთქმელები:
 კაცთათვის ცეცხლის მომტანს ხედავ შენ პრომეთესა.

ო, მოწყალეო მოამაგევ, მოკვდავთ უფალო,
 რად ეწამები, თქვი, უწყალოდ ასე, პრომეთე?

პრომეთე

ეს არის ახლა დავსტიროდი მე ჩემს წამებას.

- 620 მე ჩემს სანიჭარ რამ საშუელზე არ გევედრები.

პრომეთე

რას მთხოვ, მითხარი. მე ყველაფერს აშკარად გეტყვი.

იო

ვისი ბრძანებით ხარ ამ კლდეზე შენ მიჯაჭვული?

პრომეთე

თანახმად ზევსის ბრძანებისა, ჰეფესტოს ხელით.

რეზ

იო

რა ცოდვისა და ბრალისათვის იღებ ამ სასჯელს?

პრომეთე

საკმარისია, რაც გაცნობე მხოლოდ ის შენთვის.

იო

კიდევ მითხარი მე უბედურს, როდის დადგება
ჩემი საშინელ ხეტიალის საზღვარის ჟამი?

პრომეთე

უმჯობესია არ იცოდე, ვინემ იცოდე.

იო

ნუ დამიმაღავ მოსალოდნელ უბედურებას.

პრომეთე

30 არ მეშურვება ახლა შენთვის ეგ საჩუქარი.

იო

მაშ, რად არ ზრუნავ და ხმამაღლა მას არ იძახი?

პრომეთე

მზადა ვარ, მაგრამ ვშიშობ სული არ შეგიშფოთო.

იო

უმჯობესია არ იზრუნო ჩემ საამებლად.

პრომეთე

რადგან გწყურია, უნდა გითხრა, კარგად ისმინე.

ქორო

არა, სიამის ჩემი ჯერი მეც დამიტოვე;
ჯერ ჩვენ გვაუწყოს თვითონ ამან თვის სენის გამო
ამბავი თვისი სევდიანი, გადახდომილი,
და მერმე კიდევ, დანარჩენი შენ შეაგონე.

პრომეთე

შენ გმართებს, იო, შეიწყნარო ეს მათი თხოვნა;
640 ესენი შენი მამის ღვიძლი დები არიან,
და იქ ტკბილია დატირება საკუთარ ბედის,
სადაც სურს მსმენელს თანაგრძნობის ცრემლი დაჰღვაროს.

იო

არ შემიძლია ამ თხოვნაზე გითხრათ უარი;
მე ნათელ სიტყვით მოგახსენებთ, რაც გსურთ ისმინოთ,
თუმცა მაშფოთებს ნაამბობი ღვთის ქარიშხალზე,
რამაც დამსეტყვა, მაქცია გონჯად,
და სულ წაშალა სახიერი მშვენება ჩემი.
მარად ვიდოდნენ ჩემს ქალწულურ საძინებელში
ლამის სიზმრები და ტკბილ სიტყვებს ჩამაგონებდნენ:
650 „ო, ბედნიერო, დიდასულო, შენ ასე დიდხანს
რისთვის ქალწულობ, როს შეგეძლო ბედილბლის პოვნა
და ქორწინება ღვთაებრივი, უზენაესი?!
ანთებულია ნატვრის ისრით შენდამი ზევსი
და სიყვარულით შეერთება სწყურია შენთან.
ო, ბავშვო ჩემო, ნუ უარჰყოფ ზევსის სარეცელს,
არამედ წადი ლერნის ფართოდ გაშლილ მდელოზე,
სად მამეული ჯოგი, ფარა და ფარებია,—
რომ ზევსის თვალი სიყვარულის წყურვილით დაცხრეს“.
ასეთ სიზმრებით ყოველ ღამე ვიტანჯებოდი
660 მე უბედური, სანამ მამას მთლად არ ვუამბე
მაცდუნებელი იგი ჩემი ღამის სიზმრები,
და მან გაგზავნა მკითხავი და ბევრი მისანი
პითოს, დოდონში, რომ გაეგო რა ზეენა-ლოცვით
უნდა მოეგო ზევსის გული. მაგრამ მოჰქონდათ
გამოუცნობი, ბუნდოვანი წინასწართქმანი.

ბოლოს მიიღო იქ პასუხი ზუსტი ინაქემ.
 იგი აშკარად უბრძანებდა, განვევდე მამას
 მშობელ სახლიდან, სამშობლოდან და მეწანწალა
 კიდიო-კიდემდე, განაპირა მიწის საზღვრამდე,
 0 არა და, — ზევსი აღმოდებულ მეხს დაატებდა
 და აღმოფხვრიდა მთელ მის მოდგმას ძირბუდიანად.
 მან დაიჯერა აპოლონის წინასწარ-თქმული
 და გამაძევა, დამიკეტა სახლის კარები,
 მაგრამ უგულოდ, უნებურად, რადგანაც ზევსმა
 მძლე რკინის ნებიო ეს მოსთხოვა, ჩაადენინა.
 და მყის მშვენიება და გონება ჩემი დავკარგე:
 მე რქიანი ვარ, როგორც ხედავთ და პირწამახულ
 კრაზანისაგან დაჩხვლეტილი, გახელებული
 წინ გავეშურე ხტომით კერქნის ამო მდინარის
 0 და ლერნის ტკბილი წყაროსაკენ. არ მშორდებოდა
 მწყემსი არგოსი, მიწის შვილი, უცხოობი ბრაზით,
 მითვალთვალებდა ათას თვალით, მდევდა კვალდაკვალ.
 მოულოდნელად, მყის სიკვდილმა განგმირა იგი
 და განმაშორა. დაკბენილი მაინც კრაზანით
 მე ღმერთის შოლტი მარბენინებს კიდიო-კიდემდე.
 შენ მოისმინე ყველაფერი. ძალა თუ შეგწევს,
 ახლა მაცნობე დანარჩენი, ნუ შემიბრალე
 და ტკბილი სიტყვით ნუ იცრუებ, რადგან სიცრუვე
 და მოკოროილი სიტყვა დიდად სამარცხინოა.

შეთირილი

(თრენოს)

ქორო

0 ო, ეა, ეა, კმარა, დაიცა!
 მე არ ვიცოდი, რომ უცხო სიტყვა
 სმენას ამრიგად შემეშფოთებდა.
 ო, რა ვიცოდი, შენი შერცხვენა,
 კირი საზარი, ორლესულ შუბით,
 ამრიგად ჩემ სულს თუ განგმირავდა?
 ო, ბედისწერავ! ო, ბედისწერავ!

ვცახცახებ, იო,
ოდეს ვიხილე მე შენი ხვედრი!

პ რ ო მ ე თ ე

700 აღრე დაიწყე შეშფოთება, შიში, გოდება,
ცოტა დაიცა და გაიგებ კიდეც დანარჩენს.

ქ ო რ ო

მაშ თქვი: ტანჯულებს სიამოვნებთ, ოდეს ამცნობენ
მომავალ ქირთა გამო სიტყვას შეუფარველად.

პ რ ო მ ე თ ე

მე შევასრულე ის პირველი სურვილი თქვენი.
ჯერ თქვენ გწყუროდათ თვით ამისგან გესმინათ სრულად
ამბავი მწველი, მისი მწარე ტანჯვების გამო,
ახლა ისმინეთ დანარჩენი, მას თუ რა ქირი
უნდა გადახდეს, ჰერასაგან თავსდატეხილი.
შენ კი, ინაქეს ნაშიერო, სი ჟუკები ჩემი
710 ღრმად აღიბეჭდე გულში, რათა იცოდე შენა
მაგ ხეტიალის დასასრული. ჯერ შენ აქედან
მზის აღმოსავალს მიაშურებ უხნავ ყანებით
და ასე მიხვალ მომთაბარე ხალხთან—სკვითებთან,
დაწულ ფორნებში რომ ცხოვრობენ და მიილტვიან
ახალ და ახალ საძოვრებზე ჩქარის ბორბლებით,
შორს გამტყორცნელი შვილდისრებით შეჭურვილები.
ახლოს ნუ მიხვალ. წადი, სადაც თავდება ხმელი
და კლდოვან ნაპირს ეჯახება ტალღა მგმინავი.
მარცხნივ მხარეა რკინისმწრობელ ქალიბებისა,—
უფროთხოდე მათაც, არ არიან სტუმართმოყვარე,
720 არამედ ავი, უხეში და უკარბელი.
მიხვალ მდინარე—ჰიუბრისტე „მჩაგვრელთან“, შეჭფერს
მას ეგ სახელი, ფონს ნუ ეძებ, გაუვალია.
ბოლოს მიაღწევ მათა მეფეს—მთას კავკასიონს,
მის მწვერვალიდან დიდმრისხანე მოჰქუხს მდინარე.
უნდა ქედები გადალახო ვარსკვლავთ მეზობლად
და შეადლისას გზად იარო, სანამ შეხვდები

ამაზონელებს—მამაკაცთა მოძულე ლაშქარს,—
 თემისკირეში, თერმოდონტის ახლო ცხოვრობენ,
 სადაც შავ ზღვაში სალმიდესი, მარჩხიბის ყბებით,
 30 გემს ემუქრება, მენავეთა დედინაცვალი.
 მიგასწავლიან გზას ისინი ხალისით შენა.
 მიხვალ ტბის ვიწრო კარიბჭესთან კიმერიისა,
 უნდა უშიშრად მეოტიის გაცურო სრუტე
 და ხალხს დარჩება ამ გადასვლის დიდება მარად,
 და შეარქმევენ მას შენს გამო „ბოსფორს“—(ძროხის ფონს).
 ევროპის ველებს იქ დააგდებ და ფეხს დაადგამ
 აზიის ხმელეთს. მაგრამ სცანით, არ არის განა
 ღმერთთა მეუფე უნდობელი ყველა ქმნილთ მიმართ!
 ზევსმა ამ მოკვდავ ქალთან შეყრილ-შეერთებულმა,
 40 ახლა არგუნა ხეტიალი მასვე ამგვარი.
 დაგაქორწინა მწარე ნეფეს, ასულო, ბედმა.
 ის, რაც ისმინე, სათავეა მხოლოდ შენ ქირთა.

იო

ვაი-მე, ვაი, ვაი-მე, ე, ე!

პრომეთე

შენ დაიგმინე, დაიკვნესე, ეს შენ იკივლე?
 მაშინ რასა იქ, როს დანარჩენს გაიგებ შენ?

ქორო

ნუ თუ მოელის სხვა კიდევ რამ მას სატანჯველი?

პრომეთე

უბედურების და ტანჯვის ზღვა უბოხოქრესი.

იო

რისთვის ვიკოცხლო? განა არ სჯობს აი, ახლავე,
 რომ გადავეშვა თავდაყირა ფრილო კლდიდან,
 50 მიწას განვერთხო, საუკუნოდ მოვრჩე წამებას!
 უმჯობესია ერთხელავე საკვდილი სრულად,
 ვიდრე დღემუდამ დანელება, ტანჯვა, წამება.

პ რ ო მ ე თ ე

ვერ გაუძლებდი, ჩემი ტანჯვა გეტვირთა შენა,
მე ხომ სიკვდილი ბედისაგან არ მიწერია.
იგი კი შვება იქნებოდა წამებისაგან.
აწ კი არა აქვს დასასრული ამ ჩემ სატანჯველს,
სანამდე ზევსი არ დაჰკარგავს ძალაუფლებას.

ი ო

განა ოდესმე დაემხობა მეფობა ზევსის?

პ რ ო მ ე თ ე

გაიხარებდი ალბათ მაშინ, აგრე რომ მოხდეს!

ი ო

760 დიახაც! ყველა ეს წამება მე მჭირს ზევსისგან.

პ რ ო მ ე თ ე

მაშინ იცოდე: რომ ეს ასე მოხდება მართლაც.

ი ო

როგორ? წამება თვით ზევსისგან განა არა გვჭირს?

პ რ ო მ ე თ ე

მაგრამ წამებით ისწავლება ჭეშმარიტება.

ი ო

ვინ გამოსტაცებს მას ხელთაგან ტირანულ სკიპტრას?

პ რ ო მ ე თ ე

თვითონ თავის თავს, უმეცარი განზრახვის გამო.

ი ო

როგორ მოხდება, რა ნიშანით, გამაგებინე!

პ რ ო მ ე თ ე

ის ქალს შეირთავს და მის გამო იგი ინანებს.

იო

ღმერთის სისხლისა, თუ მოკვდავის? ნათლად მაუწყე.

პრომეთე

ნუ მეკითხები. რაც გითხარი, საკმარისია.

იო

10 მაშ, მას ნამდვილად ჩამოაგდებს ტახტიდან ცოლი?

პრომეთე

ან ზევსისგან ის შვილსა შობს, მამაზე ძლიერს.

იო

ნუ თუ მაგ ბედის აცილება თვითონ არ ძალუძს?

პრომეთე

არა, სანამდე ამ ბორკილებს არ გავეჭყევი.

იო

ზევსის გარეშე ხუნდებისგან ვინ გამოგიხსნის?

პრომეთე

ის შვების სხივი შენს მოდგმიდან მომეფლინება.

იო

რა თქვი, შენ ჩემი შვილი გიხსნის წამებისაგან?

პრომეთე

ჰო, ის მესამე, ათი მოდგმის მუხლისა შემდეგ.

იო

გაუგებარი არის ჩემთვის ეგ წინასწართქმა.

პრომეთე

მეტს ღურას მკითხავ შენი კმუნვა-ნალევლის გამო.

780 შენ რაც დამპირდი, გევედრები, მას ნუ მომტაცებ!

პ რ ო მ ე თ ე

ორთაგან ერთი შემიძლია მხოლოდ მოგიძღვნა.

იო

რომელი, მითხარ და ავირჩევ, გამაგებინე.

პ რ ო მ ე თ ე

რომელი გითხრა? დანარჩენნი ტანჯვანი შენნი,
თუ ის გაცნობო, აწ აშკარად, მე ვინ დამიხსნის?

ქ ო რ ო

დაგვდე პატივი მეც და მასაც, მოჰაკვლევინე
ცნობის წყურვილი, გევედრები უამბე მაგას,
რით დასრულდება ხეტიალი, მაგის წანწალი,
მე კი მითხარი,—ვინ იქნება ის შენი მხსნელი?

პ რ ო მ ე თ ე

790 უკეთუ თქვენ გსურთ, თანახმა ვარ, არ გაგაწბილებთ
და გეტყვით სრულად, რის გაგებაც ასე გწყურიათ.
პირველ შენ გეტყვი, იო, მარად მოხეტიალევ,

ღრმად აღიბეჭდე დახსოვნების ფიცარზე იგი.
ოდეს გასცურავ ხმელთაშუა მავალ ზღვის წყალსა,
შენ მიაშურებ აღმოდებულ მზის აღმოსავალს.

ჩამოიტოვებ მოგრიალე იმ მორევს უკან
და მიაღგები გორგონელთა კისტენის ველებს;
იქ ცხოვრობს საში ბერი ქალი, ფორკის ასულნი,
სახით გედისა, აშო ჭეფიფრულ ერთი თვალ-კბილით.
მათ მზის, არც ღამით მთვარის შუქი არ შეჰხებია.

800 იქვე მათ ახლოს და მეზობლად ცხოვრობენ კიდევ
ის საშნი დანი, გორგონები ფრთაგამოსხმულნი,
თმაში გველები კავებივით რომ აქვთ ჩაწული.
ვინც მათ იხილავს, ის მაშინვე სულს განუტევებს.
შენ გაფრთხილების გამო ვამბობ ყველაფერ ამას.

- ახლა უფურე სხვა შენზარავ თვალისსეირსაც:
 ერიდე ზევსის უყეფარ და განაბულ ძალღებს,
 მოკაუჭებულ-ნისკარტიან იმის ფასკუნჯებს,
 და არიმასპთა იმ ცალთვალა ცხენოსან ლაშქარს,
 მცხოვრებთ პლუტონის ოქროდმავალ მდინარის პირას.
- 0 განშორდი მათაც. მერმე მიხვალ შორეულ მხარეს,
 მზიურ წყაროსთან მობინადრე შავტუხა ხალხთან.
 მიხვალ იქ, სადაც მდინარეა ეთიოპია.
 მიჰყევი აღმა მის ნაპირებს წყალვარდნილამდე,
 სად ეცემიან ბიბლოსის მთით ბებერ ნილოსის
 წყალნი წმინდანი, ტკბილსასმელნი. ამ გზით მიაღწევ
 ძველი ნილოსის სათავესთან სამკუთხედ მიწას.
 იქ არის, იო, შენთვის და შენ შვილთათვის თქმული
 შორეულ დაბის დაფუძნება და სამყოფელი.
 თუ სიტყვა ჩემი ძნელ-საცნოა, გაუგებარი,—
 0 კვლავ გამომკითხე და ყოველი ნათლად გაიგე.
 მე მოცლილი ვარ ახლა უფრო, ვიდრე თვითონ მსურს.

ქორო

თუ კი რამე გაქვს აწ სათქმელი ამისი მწარე
 ხეტიალისა და წანწალის შესახებ შენა,
 თქვი, გაგვიცხადე, და თუ სიტყვა შენი დასრულდა,
 გვაუწყე იგი, რაც შეგვპირდი, სრულად ყოველი.

პრომეთე

- თვისი მგზავრობის მას მიზანი გაგონილი აქვს.
 რადგან იცოდეს, რომ ამაოდ არა მისმენდა,
 მე დავუმატებ, რაც კი წინათ მას განუცდია
 და ჩემ სიტყვათა მით სიმართლეს დავადასტურებ.
- 0 ამ ნაამბობში ბევრ შემთხვევას აწ გამოვტოვებ,
 მის ხეტიალის დასასრულის გამო გაუწყებთ.
 მოლოდინის მხარეს როს მოხველი დოდონთან ქედზე,
 წინასწართქმათა სად კერაა თესპროტე-ზევსის,
 იქ საარაკო, მოსაუბრე შენ ყველა მუხა
 გესალმებოდა უფარველად დიდმშეენიერსა,
 რომ გახდებოდი დიდებული ცოლი ზევსისა.

- მგონი გეამა ამ ამბავის შენ მოგონება?!
 მაგრამ სიშმაგით მოშხამული კვლავ გაეშურე
 ზღვისპირა გზებით მშობელ რეას ფართო სრუტისკენ,
 840 აქედან ისევ უკან გასწი ქარიშხლურ რბენით,
 და აწ იცოდე შენ ნამდვილად, რომ იმ ზღვის სრუტეს
 იონიურსა შეარქმევენ კაცნი მოკვდავნი,
 რომ ჰქონდეთ ხსოვნა შენ მგზავრობის გამო მარადის.
 აი საბუთი, რომ გონება ჩემი მეტს ხედავს,
 ვიდრე ყველასთვის რაც ამჟამად უფარველია.
 დანარჩენზე კი თქვენ და ამას ერთად გაიმბობთ
 და კვლავ ზემოთქმულ ჩემ სიტყვათა ნაკვალევს გავდე.
 არის ქალაქი დედამიწის მიღმა—კანობი,
 ნილოსის ახლოს, შესართავთან, მის მონატანთან.
 850 იქ ზევსი ისევ დაგიბრუნებს გონებას შენა,
 ის ხელს საამურს და უშიშარს შეგახებს მხოლოდ,
 და შეარქმევენ ღვთისგან შობილ იმ შავკანიან
 შენსა შვილს ეპატს. ის დაიწყებს ფართოდ-მდინარე
 ნილოსის ტალღით მორწყულ მიწის დამუშავებას.
 ხუთი თაობა რომ გაივლის, დაბრუნდებიან
 ორმოცდაათნი დედათ-თესლნი ისევ არგოსში,
 ბიძაშვილებთან ქორწინების შიშით დევნილნი.
 გათანგულები ვნების ცეცხლით ვაჟკაცი ქალებს,
 როგორც ქორები მტრედებს, ისე გაენთებიან,
 860 ის უკანონო ქორწინება რომ ინადირონ.
 მაგრამ ღმერთი მათ არ დააცლის და არ გააძლებს.
 პელაზგეს მიწა ჩაიბარებს ქალების მიერ,
 უძილო ღამით, დახოცილთა გატრუნულ გვამებს.
 ქალები კაცებს მყის დაჰკლავენ ორღესულ დანით.
 აბანავებენ სისხლში დანას. ასე იძიოს
 ჩემს მტრებზე შური კიპრიდამაც. მხოლოდ ერთ სასძლოს
 ნდომა შეიპყრობს და ვერ ასწევს მასზე დანასა,
 ვისთანაც სძინავს. გულს დაუცხრობს მას შებრალება.
 უნებო, მხდალი რომ შეარქვან, ამას აირჩევს,
 870 ოლონდ არ გახდეს კაცისმკვლელი. დაიბადება
 არგოსში მისგან სახელგანთქმულ მეფეთა მოდგმა.
 ეს წერილად რომ ვთქვა, სიტყვა ჩემი გამიგრძელდება.
 აღმოცენდება იმ თესლისგან ის მონაგარი,

მძლავრი, ძალუმი, მშვილდოსანი სახელგანთქმული,
და სწორედ იგი გამომიხსნის ამ წამებისგან.
შემატყობინა ეს წინასწარ მე ძველმა დედამ,
დედამ თემიდე-ტიტანიდემ. როგორ მოხდება
ეს ყოველივე, რომ გაიმბო, ბევრ დროს დაიჭერს
და სარგებელსაც ამის გამო მაინც ვერ ჰპოებ.

იო

- 30 ელელეი, ელელეი!
ისევ მახურებს და კრაზანა ნესტრით და ისრით
მსუსხავს უცეცხლოდ.
გული კვლავ ტოკავს შიშისგან მკერდში.
ვთრთი და ვცახცახებ და სიშმაგე მართმევს გონებას.
მირბის, მიფრინავს ყველაფერი ამღვრეულ თვალ წინ.
ცოფი, სიშმაგე ციბრუტივით ბორბლებ მამრუნებს,
ენა მებმება,
მერღვევა სიტყვა და იძირება
გიჟური ბოდვის ტალღა-მორევში.

(იო ვარბის)

სტასიმი მესამე

ქორო

სტროფი 1

- 30 ის ბრძენი იყო, ვინც პირველად იმ აზრს დაადგა
და აღიარა ხალხში იგავი:
მისთხოვდი სწორფერს, არა შენზედ წარჩინებულსა.
ლარიბო, შენის ხელის ჯაფით ქვეყნად ვინც ცხოვრობ,—
გვარიშვილობით მკვებარა კაცს ნუ მისთხოვდები.
ნუ იქორწინებ შენ მის დამჩაგვრელ
ფუფუნებაზე და სიმდიდრეზე.

ანტისტროფი 1

ო, მოივრებო,
სამში ვერც ერთი
მიხილავთ ზევსის წიაღის ქალად,

- 900 ცოლად მიწითგან ცათა შინა ამაღლებულსა.
ვთრთი, ასე რომ გჰკრეტ უმანკო ასულს,
იო, ჰერასგან ნაზად-დაბნედილს
და ძნელის გზებით მოხეტიალეს.

სტროფი 2

არ მეშინია თანასწორთან შეუღლებისა.
არ აჯობებდა, ღმერთთა ტრფიალი
გარდუვალ თვალთა რომ არ მიცქერდეს?
საპყრობილეა: უბრძოლველად ბრძოლა-ჭიდილი!
მე არ ვუწყოდი, ვით მიმეგნო გზა ცხოვრებისა
და გავეცეოდი, ზევსო, მე შენს ღვთაებრივ თესლსა.

პ რ ო მ ე თ ე

- 910 თუჲც არის ზევსი გულზვიადი, იგი დაცხრება,
რადგანაც ცდილობს დაქორწინდეს იგი იმ ქალზე,
რომელიც თვითონ შეეცდება, უხილავ ძალით,
ის ჩამოაგდოს მტარვალური ტახტიდან, მაშინ
მაშა კრონოსის კრულვა სრულად აუსრულდება,
რითაც ძველ ტახტის დამხობისას იმუქრებოდა,
და ვით გაექცეს ამა ხიფათს, უბედურებას—
იგი არც ერთ ღმერთს, ჭეშმარიტად, არ გაეგება,
ხოლო მე ვიცი, ეგ ყოველი როგორ მოხდება.
მაშ, მედიდურად იჯდეს ცათა მეხის მპყრობელი,
920 ცეცხლის მთესავი, საიმედო ეპყრას ისარი,—
ზევსს იგი მაინც ვერ უშველის, ის დაემხოა
აუტანელი, უსახელო, უნდო დაცემით.
ის თვით ამზადებს შობისათვის ახლა იმ დევგმირს,
იმ დაუძლეველ, შიშის მომგვრელ ურჩხულს ტიტანსა.
ის ცეცხლს იპოვის მოგიზგიზეს, ელვაზე ნათელს,
ზეციურ მეხზე უფრო ძლიერს და მოგრუხუნეს,
ზღვის და ხმელეთის შემარყეველ, ქირთმთესველ კვერთხსა,
პოსეიდონის იგი სამკაპს გააცამტვერებს.
დამარცხებული, ქირშეყრილი ზევსი გაიგებს,
930 რომ ბატონობა სხვა არის და სხვაა მონობა.

ქ ო რ ო

რაცა გსურს მოხდეს, სწორედ მასვე უქადი ზევსსა.

პრომეთე

რაც უნდა მოხდეს და რაცა მსურს, მე იმას ვამბობ.

ქორო

ზევსის ბატონი თუ იქნება ნეტავი ვინმე?

პრომეთე

ამაზე უფრო მძიმე უღელს ატარებს იგი.

ქორო

არ გეშინია, მაგ სიტყვათა წარმოთქმის შენა?

პრომეთე

რა შემაშინებს? მე სიკვდილი არ მიწერია.

ქორო

მაგრამ ის შესძლებს უმწარესი შეგყაროს ტანჯვა.

პრომეთე

დღე, შემყაროს, მე ყველაფერს მოველი მისგან.

ქორო

მართ ვინც ადრასტეს აღიარებს, იგი ბრძენია.

პრომეთე

- 940 მაშ თაყვანი-ეც, მოეფერე ავ უფალს მარად,
მე კი არაფრად არა მიღირს ის შენი ზევსი.
დღე, გვრისხავდეს და იმეფოს კიდევ ხანმოკლედ,—
არა სურთ ღმერთებს მას დიდის ხნით უხარონ ქელი.
მაგრამ მე ვხედავ ზევსის მაცნეს—იმ მალემსრბოლსა,
ღმერთი-ტირანის ახალ მსახურს, იგი სრულიად
უცხო და ახალ მახარიბლად მოეჩქარება.

(შემოდის ჰერმესი)

ჰერმესი

შენ გეუბნები, შენ, სოფისტო და თავხედებზე
უფრო თავხედო, ვინც შესცოდე ღმერთთა წინაშე

და გააღმერთე წუთის შვილნი, შენ ცეცხლის ქურდო!
950 მამა გიბრძანებს აუხსნა მას, ქორწილის გამო
რასაც ყბედობდი, რომ ის თითქო მის ტახტს დაანხოვს,
თქვი კვლავ ყოველი უიგავოდ, ნათლად ახსენი
და მეორეჯერ აქ, პრომეთე, ნულარ მომიყვან.
ხომ ხედავ,
შენ ზევსს იმგვარ სიტყვით გულს ვერ გაუდნობ.

პრომეთე

ეგ საზეიმო, ქედმაღლობით აღსავსე სიტყვა,
ღმერთების მონას, ღმერთის მსახურს შეეფერება!
ახალ სამეფოს აწ ახალნი მეფენი ფიქრობთ,
მარად იცხოვრებთ ტკბილ განცხრომით ციხე-კოშკებში,
960 მაგრამ ხომ ვნახე დამხობილი ორი მტარვალი?
ახლა მესამე იქ მტარვალი ზის და მბრძანებლობს;
მალე ვიხილავ სამარცხვინო მის დაღუპვასაც.
იქნების ფიქრობ, ახალ ღმერთებს შიშით ვმონებდე?
არა, არავის და არაფრის არ მეშინია.
შენ კი იჩქარე იმ გზას გაჰყვე, რომლითაც მოხველ,
რადგანაც პასუხს შეკითხვაზე შენ ვერ მიიღებ.

ჰერმესი

მაგრამ ამგვარი ქედმაღლური საქციელისთვის
ხარ ჩავარდნილი ამ უძირო ტანჯვის უფსკრულში.

პრომეთე

აწ კეშმარიტად, უყოყმანოდ, პირდაპირ გეტყვი:
970 მე არ გავცვლიდი ჩემს წამებას შენს მონობაზე.

ჰერმესი

უმჯობესია მონა იყო, მაშ, ამ კლდის, ვიდრე
მაცნე, ერთგული ანგელოსი მამა ზევსისა?

პრომეთე

შემგინებელთა შეგინება მართებულია.

ჰერმესი

მგონი ნეტარობ, ასეთ დღეში რომ იმყოფები!

პრომეთე

ვნეტარობ, ასეთ განცხრომაში მტრები მენახოს,
მათ შორის მე მას, პირველ რიგში, შენთვის ვირჩევდი.

ჰერმესი

განა მე ამ შენს წამებაში დანაშავე ვარ?

პრომეთე

აშკარად გეტყვი: შეჯავრებით ყველა ღმერთები,
რადგანაც კეთილ განზრახვისთვის ავი შემყარეთ.

ჰერმესი

980 მერწმუნე, გიჟთა ავი სენი შეგყრია შენცა.

პრომეთე

დიახაც, თუ კი სენი არის მტერთ სიძულვილი.

ჰერმესი

ძალა რომ გქონდეს, იქნებოდი აუტანელი.

პრომეთე

ვაგლახ!

ჰერმესი

ვაგლახო? ზევსს ეგ სიტყვა არ უსწავლია!

პრომეთე

ჟამი ბებერი შეასწავლის მასაც ყველაფერს.

ჰერმესი

შენ კი ამდენხანს ჰკუა მაინც ვერ გისწავლია.

პრომეთე

მართალი არის, რადგან შენთან ახლა ვსაუბრობ!

ჰერმესი

არ ეტყვი მამას, რაიცა სურს გაიგოს შენგან?

პრომეთე

მადლობა ხომ არ შევეუთვალო ჩემს შენბრალეებელს?

ჭერმესი

990 წგონი ერთობი და მეტყვეი ისე, ვით ბაღლსა!

პრომეთე

დიახ, ბაღლი ხარ, უგუნურზე უფრო უგონო,
თუ ფიქრობ ჩემგან შეკითხვებით გაიგო რამე!
არ არის ტანჯვა და წამება, ხერხი ისეთი,
რითაც მე ზევსმა მაიძულოს რამ მათქმევინოს,
სანამ არ ამხსნის სამარცხვინო მე ამ ბორკილებს.
დეე, მან თაყზე დამატებოს გიზგიზა ალი,
თეთრი ფრთიანი თოვლის ბუქი და მეხთა გრგვინვით
შესძრას ეგ მიწა და სრულიად ააყირავოს,—
მე იგი მაინც ვერ მომღუნავს, აროდეს ვეტყვი,
1000 თუ ვისი ხელით დაემხოდა მეფობა მისი.

ჭერმესი

ხედავდე ახლა, ჯიუტობა განა გიშველის?

პრომეთე

დიდიხანია, ყოველივე რაც განვისაზრე.

ჭერმესი

ყბედო, დააგდე უგნურება, მოდი ეცადე,—
ტანჯვით ისწავლო და მით გახდე სწორგონიერი.

პრომეთე

ამაო ხვეწნით და სიტყვებით მამბეზრებ თავსა.
მე, ვით ზღვის ტალღებს, შენ ვერაფერს ვერ ჩამაგონებ.
ნუ ფიქრობ, თითქოს მე წინაშე ზევსისა შიშით,
გავხდე მორჩილი, შევევედრო ჩემთვის საძულველ
მტარვალს, დიაცებრ ხელაპყრობით, რათა ამყაროს
1010 ბორკილ-ხუნდები. ეს არასდროს არ მოხერხდება.

ჭერმესი

ჩანს სულ ამაოდ ასე დიდხანს გელაპარაკე.
მაგგვარ გულს ხვეწნით სანთელსავით მე ვერ გავადნობ.
ახლად გახედნილ კვიცის მსგავსად ლეჟავ ლაგამსა,
გინდა აღვირი გადაიგდო თავიდან ძალად,

- მაგრამ ამაოდ, უძლურია შენი ცდა, შრომა,
 რადგან ვინც არის უგუნური, კერპობა მისი
 დიდად არაფერს თავისთავად არ წარმოადგენს.
 განსაჯე ამ ჩემს შენ თუ სიტყვებს არ დაუჯერე,—
 როგორი შმაგი ის გრიგალი და ღელვა ზღვათა
- 1020 დაგატყდეს თავზე გარდუვალის პირველ ყოვლისა:
 კლდეს წვერწამახულს მამა მეხის ცეცხლით დაჰბუგავს,
 სალის ხელებით მოგეხვევა და გულში ჩაკრულ,
 შენ ტანს დაღეწილს შორს ჩაიტანს და იქ დამარხავს.
 მერმე კი დიდი დრო-და-ჟამის გარდასვლის შემდეგ,
 დღის სინათლეზე კვლავ ამოხვალ და ზევსის ძალლი,
 ძალლი ფრთიანი სისხლისმსმელი, არწივიც მისი —
 ავი სტუმარი, იმ ნადიმზე უბატიეები,
 შენი სხეულის უხვ ნაფლეთებს ჯიჯგნას დაუწყებს
 და დღენ ადავ ღვიძლს გამოგჭამს, შავად გამოხრულს.
- 1030 ნუ ფიქრობ ტანჯვა ეს ოდესმე დასრულდეს, სანამ
 შენი შექცვლელი ის სხვა ღმერთი არ მოვლინდება
 და არ ისურვებს შენს მაგივრად იმ უსინათლო,
 შავბნელ ჰადესის,
 ჯოჯოხეთის ჯურღმულში ჩასვლას.
 და აწ იფიქრე: ეს როდია ტყუილი კვებნა,
 არამედ ღმერთის განაჩენი მტკიცე, ურყევი.
 თქმა ტყუილისა ზევსის ბაგეს არა სჩვევია;
 თქმულს აღასრულებს, და განსაჯე, იქნებ ოდესმე
 ამ ქედმაღლობას ამჯობინო ჭკუათმყოფლობა.

ქორო

- 1040 მგონი ჰერმესი სწორად ამბობს და მართებულია.
 იგი გიბრძანებს ქედმაღლობა დააგდო შენა
 და სძებნო სიბრძნე მართებული და გონივრული.
 სამარცხვინოა ბრძენისათვის ცდუნებით კვებნა.

პრომეთე

რაც მან ამჟამად მე მაცნობა და გამიცხადა,
 უცხო როდია, ყოველივე ადრე ვიცოდი.
 მტერი მტრებისგან რომ იღვბდეს ტანჯვა-წამებას,—
 განა ეგ არის სამარცხვინო, მოულოდნელი?!

დე, დამშეხოს დაკლავნილმა ორღესულ ცეცხლმა.
 დეე, გაირღვეს ეს ეთერი მებთა გრიალით
 1050 და მოვარდნილი ქარიშხალის ავი სიშმაგით,
 ხოლო გრიგალმა შეარყიოს საძირკვლებამდე
 ეგ დედამიწა და მოჰგლიჯოს თავის საფუძველს,
 ზღვათა ტალღებიც გადმოიქცეს და შეუერთდეს
 ცის მნათობების გზათა სავალს ავი ღრიალით,
 ბოლოს ჩაადოს ტანი ჩემი შავ ჯოჯოხეთში,
 თავბრუდამსხმელი, უნებური, შმაგი ტრიალით, —
 მაინც არ ძალუძს ზევსს სრულებით ჩემი გაქრობა.

ჰერმესი

მაგრამ ასეთი უმეტარი სიტყვა და განსჯა,
 გონდაკარგულთა არის მხოლოდ შესაფერისი.
 1060 თუმცალა ჩემთვის ეგ სავსებით გასაგებია:
 განა არა ჰგავს ეს გიქს თავის განდიდებაში,
 რომელსაც ბრაზი აწ არაფერს არ ათმობინებს?
 თქვენ კი, ვინც მაგის თანაუგრძნობთ უბედობასა,
 ეხლავ მოშორდ თ, მოსწყდით თქვენ ამ ადგილ-სამყოფელს,
 თუ არ გსურთ მების ულმოშველი გრგვინვა-გრიალით
 ჭკუის დაკარგვა, გალენჩება და გაშტერება.

ქორო

მომეცი მე შენ სხვა ნუგეში, მარქვი სხვა რამე, —
 და მას შევისმენ; ხოლო იგი სიტყვა უბირო
 შენ აქ წარმოთქვი, ქეშმარიტად, მიუღებელი.
 1070 როგორ? მიბრძანებ შენ ლაჩრობა აწ ჩავიდინო?
 არა, ვეწამო მზად ვარ მასთან, თუ საჭიროა.
 ღრმად საძულველი იყვნენ ჩემთვის მოღალატენი;
 და მანკი იგი
 მწამს, ყველა მანკზე უფრო დიდი სიმახინჯეა.

ჰერმესი

დე, ასე იყოს, მაგრამ მაინც გაფრთხილებთ ახლა:
 ბედს ნუ ეძღურით, ავ ხიფათის ხელათ ხელქმნილთ,
 ნურც იმას იტყვი, თითქო ზევსმა ჩაგადლოთ თქვენა
 მოულოდნელად განსაცდელში.

1080 არა, თქვენ იგი
თვით მოისურვეთ. თქვენ იცოდით და ამიტომაც,
არა უეცრად და მალულად გამოგხვევით
შეუვალ ბადის იმ შავბედიტს სივალაღში,
არაქედ თქვენივე უგნურობის, სირეგენის გამო.
(ჭერმესი შიდის)

პ რ ო მ ე თ ე

აჰა, ნამდვილად, არა სიტყვით, ირყევა მიწა!
ღრიალებს მეხის ექო, გრუხუნნი,
და ანათებენ მოგიზგიზე,
ცეცხლმოდებული,
დამბრმავებელი გრეხილები ცაში ელვათა!
1090 გრიგალნი ქვიშას ციბრუტივით ატრიალებენ,
და რბენა-ცეკვით წამოსულნი ყოველის მხრიდან,—
ქშენენ ქარები და ერთმანეთს ეჯახებიან.
შეერთებულა მთლად ცა და მიწა...
ავად დაძრული ეს გრიგალი, შიშისმომგვრელი,
თავს დამატება ზევსმა აშკარად.
ო, წმიდა დედავ! ო, ეთერო, ყველგან ყოველთვის
სინათლის მფენო საამურადა,—
მომხედდე, როგორ უსამართლოდ აქ ვეწამები!
(ელვა და ქუხილია, მიწა პირს იხსნის, განიპობა და პრომეთეს შიგ ჩაიტანს).



შენიშვნები

12. „ძალა“ და „ძალადობა“ დემონები არიან. აქ ისინი წარმოდგენილნი არიან ერთი არსების სახით (ალბათ იმიტომ, რომ მათი როლი ერთ მსახიობს უნდა შეესრულებინა; მეორე მსახიობი ჭეფესტოს როლს ასრულებდა) და მოსული არიან ზეესის დავალების შესასრულებლად; ჭეფესტოს უნდა მიაჯაჭვებინონ პრომეთე.

18. აქედან ჭეფესტოს სიტყვები მიემართება პრომეთეს. თვითონ პრომეთე სცენაზე არ არს: რადგან ორივე მსახიობი (ესქილეს ხომ მხოლოდ ორი მსახიობი ჰყავდა ამ დროს) უკვე დაკავებულია (ერთი ასრულებს ჭეფესტოს როლს, ხოლო მეორე—ძალა-ძალადობისას), პრომეთეს მაგიერ კლდეზე ტიკინაა. ხოლო როდესაც 87 ტაეპის შემდეგ ჭეფესტო და ძალა-ძალადობა გადაან, ერთ-ერთი მსახიობი, ამოფარებული იმ კლდის უკან, სადაც პრომეთე-ტიკინა იყო, ამბობს პრომეთეს მონოლოგს და შემდეგშიაც ამნაირად მონაწილეობს დიალოგში.

85. „პრომეთე“, «მცდარად გიხმობენ შენ, პრომეთე, წინასწარმჭერეტელს». ძველ ბერძნებს სიტყვა *προμηθευς* ესმოდათ როგორც „წინასწარმჭერეტი“.

208. კრონოსი—ზეესის მამა.

211. ტიტანები—ბერძნების წარმოდგენით ღმერთების ძველი თაობა ძველი მოდგმა. ისინი არიან გაიას და ურანოსის შვილები.

217. თემიდე, გეა—ასე ეწოდება პრომეთეს დედას. კერძოდ სიტყვა „გეა“ ანუ „გაია“ აღნიშნავს მიწას. ასე რომ პრომეთე მიწის შვილია. აქვე შევნიშნავთ, რომ 1) „გაია“-ს მეორე ვარიანტია „აია“, რომელიც იმასვე ნიშნავს („მიწა“), 2) ეს სიტყვა (გაია, აია) ბერძნული არის; ია ნასესხევი უნდა იყოს წინაბერძნული მოსახლეობის ენიდან (შეად. კოლხიდის ძველი სახელი „აია“ ანუ „ეა“ და მისი მეფის სახელი „აიეტი“).

260. ეფემერები. სიტყვა *εφημερις* ნიშნავს „ერთი დღისა“, „ერთდღიანი“. ასე უწოდებენ პოეტები ადამიანს (რომლის სიცოცხლე „ერთი დღისაა“, წუთიერია).

291. ოკეანე—თემიდეს ძმა, მაშასადამე პრომეთეს ბიძა.

420. «კოლხიდის მკვიდრნი: ყმაწვილნი ქალნი, ომში მამაცნი და უშიშარნი». აქ იგულისხმებიან ქალწული ქალები—ამაზონები, რომელთა არსებობას ბერძნები ვარაუდობდნენ კოლხიდის მხარეში.

423. მეოტიის ტბა—ეხლანდელი აზოვის ზღვა.

425. არია—ომის ღმერთი (არესი), „არიას ქვეყნის“ ხალხი, ე. ი. კარგი მეომარი ხალხი.

519. ე რ ი ნ ი ე ბ ი — შურისშაძიებელი ღმერთქალები, მათი სამყოფელია ჰადესი. შემდეგ მათ ეწოდათ „ემენიდები“.

561. იო — მითის მიხედვით იო, ინაქეს ასულია, შეუყვარდა ზევსს. რადგან მისი ეჭვიანი ცოლი (ჰერა) მუდამ თვალჯერს ადევნებდა თავის ქმარს, ზევსმა ერთხელ სატრფიალო პაემანი დაუნიშნა იოს მდინარის ნაპირას. ზოლო, ჰერას რომ არ დაენახა ისინი, ნისლში გახვია ის ადგილი. ჰერამ მაინც ეჭვი აიღო და მდინარის ნაპირთან მივიდა მაშინ, როდესაც ზისლი უკვე იფანტებოდა. ზევსმა იგრძნო ჰერას მიახლოება და, თავისი დანაშაული რომ დაეფარა, იო თეთრ ძროხად გადააქცია და ჰერას უთხრა: აქ ამ ლამაზი ძროხის ცქერით ვტკბებოდით. ჰერამაც სთხოვა — ეს ძროხა მაჩუქო. რომ დაესაჯა თავისი მეტოქე (იო), ჰერამ იგი ასთვალა არგოსს მიაბარა სამწყემსოდ. ზევსმა არგოსი ჰერმესს მოაკვლევინა და ამგვარად თეთრი ძროხა (იო) განათავისუფლა. მაშინ ჰერამ მიუჩინა იოს ერთ ერთი ერიონია (ფურია) ბუზანკლის სახით, რომელიც დასდევს იოს და ნესტარით ჩხვლეტს მას (შეად. 592. ტაეპი: „კრაზანით დევნილ ინაქეს ქალს ვით არ ვუსმინო“).

856-857. იგულისხმებიან 50 დანაიდი და 50 ეგვიპტიდი. ამ თემაზე ესქილემ დასწერა ტრაგედია „მავედრებელი ქალები“.

880. ე ლ ე ლ ე ი, ე ლ ე ლ ე ი! შეძახილი *ελεεσ* აღნიშნავდა როგორც სამხედრო „ვაშას“, ისე „ვაიმეს“.

971—972. უმჯობესია მონა იყო, მაშ, ამ კლდის, ვიდრე

მაცნე, ერთგული ანგელოსი მამა ზევსისა?

ხელნაწერებში ეს სიტყვები პრომეთეს მიეკუთვნება. Erfurdt-მა და შემდეგმა გამომცემლებმა ისინი ჰერმესს მიაწერეს. კ. მარქსი მათ პრომეთეს ათქმევინებს (იხ. შესავალი). პრომეთეს ამ სიტყვებთან დაკავშირებით იქნებ ზედმეტი არ იყოს გავიხსენოთ აკაკი წერეთლის სიტყვები „ცოცხალ მონობაზე უმჯობესია თავისუფლების ძებნაში მკვდარი“.

3360 8 825.

ЭСХИЛ
ПРИКОВАННЫЙ ПРОМЕТЕЙ

(На грузинском языке)
Госиздат Грузинской ССР

Тбилиси
1948